

„საჭიროა წინ სვლა, საჭიროა წინ ვიხედებოდეთ, საჭიროა ყრილობაზე მოვიტანოთ სამეურნეო მშენებლობის კარგად მოფიქრებული და ყურადღებით, პარტიის ყველა წევრის საერთო შრომით, საერთო ძალ-ღონით გადამუშავებული პრაქტიკული გამოცდილება“.

ვ. ი. ლენინი

მივცეთ სამშობლოს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მეტი პროდუქტები!

ჩვენი პარტიის XXIII ყრილობის შესახვედრად

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 272 (13357) | ხუთშაბათი, 18 ნოემბერი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

შემოდგომის ბარაქა

პირველ ადგილზე

საქართველოს სს რესპუბლიკის ჩაის ფაბრიკებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მეორე კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით პირველი ადგილი დაიკავა ცხაკაიას ჩაის ფაბრიკის კოლექტივმა, რისთვისაც ღირსეული ჯილდო დაიმსახურა. მუშაობის ტემპი კიდევ უფრო გააძლიერეს ცხაკაიელმა მეჩაიეებმა მიმდინარე წლის მესამე კვარტალში.

ცხაკაიას ჩაის ფაბრიკამ (დირექტორი ო. შალამბერიძე, მთავარი ინჟინერი ივ. კაჭარავა) მესამე კვარტალის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა. საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 111 პროცენტით იქნა განაღდებული, ნატურპროდუქციისა — 105,5 პროცენტით, შრომის ნაყოფიერების ზრდისა — 102,2 პროცენტით.

ტექნოლოგიური პროცესების ზუსტად დაცვით მიაღწიეს გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და მისი თვითღირებულების შემცირებას. გამოშვებული პროდუქცია გაიაფებულია 53.000 მანეთით, დაიზოგა ხელფასის ფონდი 1.500 მანეთი, ელექტროენერგია — 8,3 კილოვატსაათი, საწვავი — 12,3 ტონა. ყოველივე ამის შედეგად ფაბრიკამ სახელმწიფოს მისცა 117.700 მანეთი ზეგეგმითი მოგება.

ამ მაჩვენებლების მიღწევისათვის ფაბრიკის კოლექტივს დაეტოვა კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის და ტრესტ „საქჩაის“ გარდამავალი წითელი დროშა და მიეცა ფულადი პრემია 1.400 მანეთი.

სურნელოვანი ჩაისათვის მებრძოლები მუშაობის ტემპს არ ანელებენ. ფაბრიკის კოლექტივი, რომელიც ჩაბმულია სკკპ XXIII და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობების აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ახალ-ახალ გამარჯვებებს აღწევს. ფაბრიკამ ჩაის მზა პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა ვადაზე ადრე 110 პროცენტით გაანაღდა. გამოშვებულია 548 ტონა მზა პროდუქცია.

ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებით განსაკუთრებით ისახელეს თავი მზა პროდუქციის საამქრომ (უფროსი შ. გოგია) და ბ. ჭკადუას ცვლამ. დავალებები დიდი გადაჭარბებით შეასრულეს მექანიკოსებმა ვ. წულაიამ, ა. ეჯიბიამ, ელექტრიკოსმა ა. ცაავამ, ზეინკლებმა რ. ცაავამ, ა. ბარკალაიამ, ცეცხლფარეშებმა გ. ზესაშვილმა, ა. კინწურაშვილმა, ვ. გოგრამ, მუშებმა ზ. შეწირულმა, ი. გვარამიამ, რ. ხორავამ.

ს. კუჭავა.

ადიგენელთა ვაჭაკი

რაიონში წარმატებით მიმდინარეობს, — აცნობებს რედაქციას პარტიის ადიგენის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. მექვაბიშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. ქასრაშვილმა და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ვ. ძაძამიამ, — სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება. ხორცის დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია 112 პროცენტით, რძისა — 103 პროცენტით, ბოსტნეულისა — 105 პროცენტით, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდისა — 105 პროცენტით, ღორისა — 102 პროცენტით, ფრინველისა — 101 პროცენტით.

◆

შესრულებულია სიმინდის დამზადების წლიური გეგმა

წყალტუბოს რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის სიმინდის მიყიდვის წლიური გეგმა. სახელმწიფოს მიჰყიდა 653 ტონა სიმინდი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 650 ტონისა.

(საქდესი).

სასიხარულო ამბები სოფლიდან

☐ **ცხინვალის** მეხილეებმა,—აცნობებს რედაქციას საქართველოს კპ ცხინვალის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. **თადტაევმა**, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გ. **ბესაევმა** და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ს. **დარსაველიძემ**, — გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხილის მიყიდვის წლიური გეგმა. ნაცვლად 4.463 ტონისა სახელმწიფოს მიჰყიდა 4.767 ტონა ხილი.

☐ **ქარელის** რაიონის მშრომელებმა,—დეპეშით ატყობინებს რედაქციას საქართველოს კპ ქარელის რაიკომის პირველი მდივანი **დ. მაღალაშვილი**, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **შ. კოპაძე** და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი **კ. ზუბითიძე**, — ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 3.050 ტონისა სახელმწიფოს მიჰყიდეს 3.080 ტონა ბოსტნეული, ხოლო მარცვლეული ნაცვლად 2.260 ტონისა — 2.560 ტონა.

☐ **ხაშურის** რაიონის მშრომელებმა,—აცნობებს რედაქციას პარტიის ხაშურის რაიკომის მეორე მდივანმა ჰ. **მოწონელიძემ**, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. **ბობოლაძემ** და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ბ. **მაისაშვილმა**, — გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის წლიური გეგმა. ნაცვლად 1.305 ტონისა სამშობლოს მისცეს 1.606 ტონა მარცვლეული.

☐ **ონის** რაიონის მშრომელებმა წინასაყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალ წარმატებას მიაღწიეს, გადაჭარბებით შეასრულეს მეცხოველეობის პროდუქტებისა და ხილის სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური გეგმები. ხორცის დამზადების გეგმა შესრულებულია 100,2 პროცენტით, რძისა — 100,4 პროცენტით, კვერცხისა — 105 პროცენტით, ხილისა — 148 პროცენტით, — აცნობა რედაქციას პარტიის ონის რაიკომის პირველმა მდივანმა **გ. აბაშიძემ**.

ბათუმის რაიონის მშრომელთა წარმატება

ბათუმის რაიონის მეურნეობათა მეცხოველეებმა ვადაზე თვენახევრით ადრე შეასრულეს ხორცის, რძისა და კვერცხის დამზადების წლიური გეგმა. ხორცი სახელმწიფოს მიეყიდა 3.205 ცენტნერი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.200 ცენტნერისა, რძე — 16.767 ცენტნერი — დავალებაზე 1.357 ცენტნერით მეტი, კვერცხი დამზადდა 3.188.655 ცალი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.047 ათასი ცალისა. სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა გრძელდება. (საქდესი).

საბჭოთა მეურნეობები, რომლებსაც ახლებურად მართავენ

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის სხდომა

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიამ განიხილა საკითხი ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში ექსპერიმენტული საბჭოთა მეურნეობების შექმნის შესახებ, რომლებსაც მართვის ახალი სისტემა ექნებათ.

როგორი უნდა იყოს ეს მეურნეობები?

ეს საბჭოთა მეურნეობები გადაჰყავთ მთლიან სამეურნეო ანგარიშზე. მეურნეობის სტრუქტურას, მართვის სისტემას, შიგასამეურნეო ანგარიშს, თანამდებობის პირთა საშტატო ნუსხას, შრომის ანაზღაურებას განსაზღვრავს საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობა.

წარმოების მთავარი ორგანიზატორი იქნება დირექტორი. მეურნეობის მართვაში მუშებისა და მოსამსახურეების უფრო ფართოდ ჩაბმისათვის იქმნება საბჭოთა მეურნეობის საბჭო დირექტორის მეთაურობით. საბჭოს შემადგენლობაში შევლენ პარტკომის მდივანი, მთავარი სპეციალისტები, განყოფილებათა გამგეები, მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე, კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, აგრეთვე მოწინავე მუშები (საბჭოს მთელი შემადგენლობის სულ ცოტა 50 პროცენტი), რომლებსაც ყოველწლიურად აირჩევენ მეურნეობის კოლექტივის საერთო კრებაზე. საბჭო გადაწყვეტს წარმოების მართვის, სამეურნეო და ფინანსური საქმიანობის მთავარ საკითხებს.

ექსპერიმენტულ საბჭოთა მეურნეობებში შესყიდვის ფასები დაწესდება კოლმეურნეობებში მიღებული სახელმწიფო ფასების დონეზე.

ამ მეურნეობებს დიდ უფლებებს ანიჭებენ აგრეთვე მზა პროდუქციის რეალიზაციაშიც. მაგალითად, საბჭოთა მეურნეობები არ მიიტანენ პროდუქციას დამამზადებელ პუნქტებში. ყველაფერი ეს ეკისრებათ იმ სავაჭრო ორგანიზაციებს, რომლებიც მომხმარებლებისათვის პროდუქტების მიწოდების დაჩქარების, ხარისხის შენარჩუნებისა და დანაკარგის შემცირების მიზნით თვითონ მიაწვდიან მათ ქალაქებსა და მუშათა დაბებს.

საბჭოთა მეურნეობებს ენიჭებათ მეურნეობის გამგეობის ფართო შესაძლებლობა, ხოლო ხელმძღვანელობას უფლება ეძლევა ბალანსიდან ჩამოწეროს მორალურად მოძველებული და შემდგომი გამოყენებისათვის უვარგისი შენობები, ნაგებობანი, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ტრანსპორტი, შეცვალოს მოძველებული ტექნიკა რაიონულ საწარმოო სამმართველოსთან და რაიონულ საფინანსო განყოფილებასთან შეუთანხმებლად.

კოლეგიამ განიხილა აგრეთვე ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებში ახალგაზრდობის მიღების შედეგები. წელს პირველ კურსებზე მიღებულია 38 ათასზე მეტი კაცი. მათგან 82 პროცენტი სოფლის მცხოვრებია. ბევრ უმაღლეს სასწავლებელში კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა თავიანთი სტიპენდიატები გაგზავნეს.

მიუხედავად იმისა, რომ წელს გაიზარდა სტუდენტთა მიღება, უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები კვლავ ნაკლებად ამზადებენ მცენარეთა დაცვის დარგის სპეციალისტებს, ინჟინერ-მექანიკოსებს, ვეტერინარ ექიმებს, ზოოტექნიკოსებს, მშენებელ ინჟინრებს, ეკონომისტებს. კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება მომავალ წელს უმაღლეს სასწავლებლებში მიღება გაზარდოს 2500 კაცით, განსაკუთრებით იმ ფაკულტეტებზე, რომელთა სპეციალისტების ნაკლებობაა. ამ მიზნით მთელ რიგ რაიონებში და ცალკეულ დიდ მეურნეობებში იქმნება მოსამზადებელი კურსები. (საკდესი).

◆

სტუმრად ჟურნალისტებთან

საბჭოთა ადამიანებს შეუძლიათ მშვიდად იცხოვრონ და იშრომონ: ჩვენი ქვეყნის ცას საიმედოდ იცავენ სარაკეტო-ატომური ძალები. სსრ კავშირის მერაკეტეთა წარმატებებზე 16 ნოემბერს ჟურნალისტთა ცენტრალურ სახლში პრესის მუშაკებს უამბო სარაკეტო ჯარების მთავარსარდლის პირველმა მოადგილემ გენერალ-პოლკოვნიკმა ვ. თ. ტოლუბკომ.

საბჭოთა სარაკეტო ჯარები, ხაზგასმით აღნიშნა ვ. თ. ტოლუბკომ, შეიქმნა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა აგრესიული ზრახვების პასუხად. ეს ჯარები მრისხანე ძალაა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი დიდი ხანი არ არის რაც შეიქმნა.

დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა არტილერიის დამსახურებაზე, ამჟამად სარაკეტო ძალებისა და არტილერიის მნიშვნელობაზე შეკრებილთ უამბეს საბჭოთა სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის სარდლობის წარმომადგენლებმა, საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსნებმა.

(საკდესი).

უმაღლესი ჯილდო

დამსახურებისათვის საბჭოთა ელექტროტექნიკური მრეწველობის განვითარებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 17 ნოემბრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა ხარკოვის ელექტრო-მექანიკური ქარხნის 150 მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი.

მემრუდთარგე ზეინკალს ალექსანდრე ვლადიმერის-ძე ზასლავსკის და ქარხნის დირექტორს ალექსი ივანეს-ძე იაკუნინს მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის წოდება, ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“.

საბჭოთა ელექტრომანქანათმშენებლობის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის ხარკოვის ელექტრომექანიკური ქარხანა დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

(საკდესი).

ჩვენი დიდი სამშობლო

ახალი გამოცემები

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ ბროშურად გამოუშვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის დ. ს. პოლიანსკის მოხსენება **„დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდამერვე წლისთავი“**, რომელიც გააკეთა კრემლის ყრილობათა სასახლეში საზეიმო სხდომაზე 1965 წლის 6 ნოემბერს. ბროშურა მასობრივი ტირაჟით გამოვიდა.

„კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა დონეზე“ — ასე ეწოდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1965 წლის) პლენუმის მასალების მიხედვით შედგენილ დამხმარე სახელმძღვანელოს, რომელიც პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა. სახელმძღვანელო შეიცავს ათ ფერად პლაკატს. ისინი გვიჩვენებენ სოციალისტური მრეწველობის წარმატებებს, მისი უმნიშვნელოვანესი დარგების განვითარებას შვიდწლედის წლებში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

პლაკატები აშუქებენ დიდმნიშვნელოვან ამოცანებს, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დასახა, და მათი გადაჭრის პირობებს, მრეწველობის მართვისა და დაგეგმვის გაუმჯობესების ახალ სისტემას, მუშათა მატერიალური დაინტერესების გაძლიერებას საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესების საქმეში და სხვ.

დამხმარე სახელმძღვანელოს ტირაჟია 200 ათასი ცალი. (საკდესი).

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მოწვევა

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა: რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია მოწვეულ იქნას 1965 წლის 16 დეკემბერს ქალაქ მოსკოვში. (საკდესი).

◆

ამიერკავკასიის კულტურის მუშაკთა თათბირი

ერევანი, 15 ნოემბერი. (საკდესის კორ.). დღეს აქ გაიხსნა ამიერკავკასიის კულტურის მუშაკთა თათბირი, რომელიც ეძღვნება მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში მუზეუმების როლის ამაღლების საკითხებს.

თათბირი მოიწვია სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ. თათბირს ესწრებიან აგრეთვე მოსკოვიდან, კიევიდან, რიგიდან, სტავროპოლიდან, ორჯონიკიძიდან და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებიდან ჩამოსული სტუმრები.

გ. ჰოლის ინტერვიუ ამერიკის ტელევიზიით

ნიუ-იორკი, 17 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს ტელევიზიით გადასცეს ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელის გ. ჰოლის საუბარი „ნიუ-იორკ ტაიმსისა“ და „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ კორესპონდენტებთან იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესმა სასამართლომ გადაწყვიტა არაკონსტიტუციურად ცნოს კანონი, რომელიც მოითხოვს, რომ კომუნისტები რეგისტრაციაში გატარდნენ მაკარენის კანონის საფუძველზე.

გ. ჰოლმა შეაფასა ეს გადაწყვეტილება, და, კერძოდ, აღნიშნა, რომ კომუნისტებს 16 წლის დევნის შემდეგ შეუძლიათ ლეგალურად იმუშაონ.

გ. ჰოლმა განაცხადა, რომ უახლოეს დროში გამოქვეყნდება ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის პროგრამა, რომელშიც ჩამოყალიბებული იქნება კომუნისტთა პოზიციები საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პრობლემებში. მან განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის აზრით ამერიკის მთავრობის პოლიტიკა ვიეტნამში მცდარი და აგრესიულია.

პოლიტიკური კრიზისის შედეგები

ათენი, 17 ნოემბერი. (საკდესი). უკანასკნელ თვეებში მკვეთრად შემცირდა საბერძნეთის სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპი. როგორც დღეს გაზეთი „ვიმა“ წერს, სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების შემცირების გამო მილიარდნახევარი დრაჰმით შემცირდა კაპიტალური მშენებლობის მოცულობა. აღნიშნულია აგრეთვე, რომ შემცირდა ბანკის ანაბრების ზრდა და ბიუჯეტის შემოსავალი. ივლისიდან ოქტომბრამდე ცხოვრების ღირებულება 3,7 პროცენტით გადიდდა. დაცემის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია, წერს გაზეთი, პოლიტიკური კრიზისი, რომელიც 15 ივლისიდან დაიწყო.

◆

ქალაქ ბულავაიოს მცხოვრებ აფრიკელთა პროტესტი

პარიზი, 17 ნოემბერი. (საკდესი). დღეს დილით სამხრეთ როდეზიის მნიშვნელობით მეორე ქალაქ ბულავაიოში გაიმართა მასობრივი საპროტესტო დემონსტრაცია იმის წინააღმდეგ, რომ სმიტის რასისტულმა მთავრობამ ცალმხრივად გამოაცხადა ამ ქვეყნის დამოუკიდებლობა. როგორც ფრანს პრესის სააგენტოს სოლსბერელი კორესპონდენტი იუწყება, დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო სამი ათასამდე აფრიკელმა. დემონსტრანტთა წინააღმდეგ გამოიყვანეს პოლიციის რაზმები, რომლებმაც ცრემლსადენი გაზები გამოიყენეს.

◆

მხარს ხომ არ უჭერენ რასისტებს?

ბონი, 17 ნოემბერი. (საკდესი). ოფიციალური ბონი აპირებს დაგმოს სმიტის რასისტული რეჟიმი სამხრეთ როდეზიაში, ან განახორციელოს რაიმე „ეკონომიური სანქციები“ ამ რეჟიმის მიმართ.

როგორც დღეს გაზეთი „დი ველტი“ იუწყება, ბონის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ „ფედერალურ მთავრობას განზრახული აქვს მხოლოდ მაშინ შეიმუშაოს საბოლოოდ თავისი პოზიცია როდეზიის საკითხში, როცა გამოირკვევა ამ საკითხის განხილვის შედეგები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში“.

დასავლეთ გერმანიის გაზეთი აღნიშნავს, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას „ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია გამოიყენებს თუ არა „ეკონომიურ სანქციებს“ სმიტის რეჟიმის წინააღმდეგ სამხრეთ როდეზიაში.

[illegible]

შრომის სიხარული

რესპუბლიკის სოფლის მშრომელები კარგა ხანია ჩაებნენ ჩვენი პარტიის XXIII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც ჭიათურელებმა წამოიწყეს.

ასპინძის რაიონის სოფელ რუსთავის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში სიმინდის უხვი მოსავლის მიღებით გამოიჩინა თავი **ნინო ბერიძემ**, რომელმაც მოსავლიანობის გეგმა ორასი პროცენტით შეასრულა.

ახმეტის რაიონის მევენახეებმა ყურძნის უხვი მოსავლის მიღებით ისახელეს თავი. დედასამშობლოს 10 ათას ტონაზე მეტი ყურძენი მისცეს. ამ წარმატებაში ახმეტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის წვლილიც არის. წარმატებას მიაღწია მევენახე **ი. დავითაშვილმა**. იმ აგროუბანმა, სადაც იგი მუშაობს ჰექტარზე 100 ცენტნერი ყურძენი მიიღო. ახლა ახმეტელი მევენახეები კვლავ ზვრებში არიან, მომავალი წლის უხვ მოსავალს საფუძველს უყრიან.

შავი ზღვის სანაპიროზე ახლა ნარინჯების რთველია. იკრიფება მანდარინი, სულ მალე დაიწყება ფორთოხლისა და ლიმონის კრეფაც. ბათუმის რაიონის ახალშენის საბჭოთა მეურნეობაში ციტრუსების უხვ მოსავალს იღებენ. მანდარინის კრეფაში დაწინაურდა **ნადია ბაჯელიძე**. იგი ყოველდღიურად 250-300 კილოგრამ მანდარინს კრეფს.

მოდის ზამთარი და მეცხოველეებსაც საზრუნავი ემატებათ. პირუტყვის ნორმალურად გამოზამთრება მეცხოველეთა დიდი გამოცდაა. ამ მხრივ აღსანიშნავია წალკის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა. მეურნეობამ წელს გადაჭარბებით შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმები. მეურნეობაში მოწინავეა ის ბრიგადა, რომელსაც გ. **მურადოვი** ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ ყოველ 100 ნერბზე 94 ბატკანი შეინარჩუნა. ახლა ისინი ცხვარს კარგად აზამთრებენ.

• • •

სურათებზე: (მარცხნიდან) ასპინძელი მესიმინდე ნ. ბერიძე, ახმეტელი მევენახე ი. დავითაშვილი, ბათუმელი მეციტრუსე ნ. ბაჯელიძე და წალკელი მეცხვარე გ. მურადოვი.

ფოტოები ვ. უუმიტაშვილისა და დ. კაკიტელაშვილისა.

პარტიული ცხოვრება

რა მოგვცა მონდომებამ

სოფლის ყველა სიკეთის წყარო კოლმეურნეთა ბეჯითი შრომა, საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციის მაორგანიზებელი ხელი. ჩვენი პარტიული ორგანიზაცია სამოცზე მეტ კომუნისტს აერთიანებს. ისინი საკოლმეურნეო წარმოების გადამწყვეტ უბნებზე შრომობენ. ამასთან გათვალისწინებულია თვითეული მათგანის უნარი და შესაძლებლობა.

მეცხოველეობა ჩვენთან ერთ-ერთი ყველაზე რთული უბანია. არცთუ დიდიხნის წინათ იგი კოლმეურნეობისათვის წამგებიანი იყო.

პარტიულმა ორგანიზაციამ, კომუნისტებმა მტკიცედ გადაწყვიტეს რადაც უნდა დასჯდომოდათ დაეძლიათ მეცხოველეობის ჩამორჩენა. დაისახა მოქმედების კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა შესრულებაზე ყოველდღიური კონტროლი დაწესდა. არ გასულა დიდი ხანი და ფერმაში სურათი შეიცვალა. გეგმით უნდა გვყავდეს 100 სული მსხვილფეხა პირუტყვი, ფაქტიურად კი გვყავს 122, რომელთაგან 58 მეწველია. გაიზარდა წველადობა, რამაც საშუალება მოგვცა რძის დამზადების გეგმა გადაჭარბებით შეგვესრულებინა. 1-ლ ნოემბრისათვის უნდა მიგვეღო 98 ტონა რძე, მოვწველეთ 113 ტონა. წლის ბოლომდე დამატებით მივიღებთ 15 ტონას.

ჯერ კიდევ შარშან ფერმაში საკმარისად არ იყო დანერგილი შრომატევად სამუშაოთა, კერძოდ დარწყულების მექანიზაცია. ეს თავისებურ გავლენას ახდენდა ჰიგიენის დაცვაზე. მოწყობილი არ გვქონდა სანაკელე ორმოები, ნაკელი ცისქვეშ ეყარა და არა მარტო ნადგურდებოდა, არამედ უსუფთაობასაც იწვევდა. პარტიულმა ბიურომ იმსჯელა ამ საკითხზე და სასურველ შედეგებსაც მიაღწია. აიგო სპეციალური ორმოები. ახლა ნაკელის გაზიდვა მექანიზებულად ხდება. სუფთა წყლისათვის დამატებითი აუზები გაკეთდა. ფერმის ტერიტორია მთლიანად შემოღობილი და დაცულია.

ფერმაში ჩამოვაყალიბეთ პარტიული ჯგუფი, რომელიც უშუალოდ ზრუნავს მტკივნეულ საკითხებზე. ინტერესს მოკლებული არ იქნება გავიხსენოთ ასეთი ფაქტი პარტიული ჯგუფის მუშაობის პრაქტიკიდან: ფერმას საჭირო რაოდენობით არ გააჩნდა მწვანე მასა. პარტჯგუფმა წინადადება დააყენა ორჯერ გაევზარდა ნათესი ფართობი კონდარისა, რომელიც სეზონში რამდენჯერმე ითიბება. კოლმეურნეობის გამგეობას მოეწონა ეს სალი აზრი. ამჟამად ნათესი კონდარისათვის გამოყოფილია 4 ჰექტარი ნაკვეთი, რომელზეც სეზონში 450 ტონა მწვანე მასას ვიღებთ.

მას შემდეგ, რაც ფერმა რენტაბელური გახდა, მეცხოველეთა მატერიალური დაინტერესება გაიზარდა. განსაკუთრებით აქტიურობენ კომკავშირელი გოგონები ფატი ბასილაძე და თინა ათიბაგი. ისინი გულმოდგინედ უვლიან პირუტყვს, რასაც ასეთი შედეგი მოწმობს: წელს თვითეულ მათგანს მოსავლელად მიჩენილ 10 ძროხაზე უნდა მიეღო 17 ტონა რძე. 5 ნოემბრისათვის მიღებული ჰქონდათ 20 ტონა. ახალგაზრდა მეცხოველეთათვის საუკეთესო მაგალითია ფერმის ძველი მუშაკის, ცნობილი მწველავის ნინო ანიშენკოს გარჯა. სწორედ ასეთ ადამიანთა თავდადებული შრომით წელს შარშანდელთან შედარებით 10 კაპიკით შემცირდა ლიტრი რძის თვითღირებულება.

პარტიული ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ფერმის მუშაკთა კულტურულ მომსახურებას. მათთვის მოწყობილია წითელი კუთხე, აქვთ რადიომიმღები, ეწყობა ლექცია-საუბრები. მეცხოველეებს მალე ტელევიზორიც ექნებათ.

ფერმა კარგად მოემზადა პირუტყვის გამოზამთრებისათვის. — დამზადებულია 380 ტონა სილოსი, საკმაო რაოდენობით მოვზიდეთ უხეში საკვები, საკვები [illegible] და სხვ. [illegible]

მიღწეულით, ცხადია, არ დავკმაყოფილდებით.

მ. გოგიტიძე,
ქობულეთის რაიონის ბობოყვათის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი.

სკკპ ცკ-ის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში

დაგეგმვის სრულყოფა, სტიმულირება

საწარმო ის რგოლია, სადაც უშუალოდ იქმნება მატერიალური დოვლათი. ჩვენს ქვეყანაში არსებობს მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ახლა ამოცანა ის არის, რომ ამ ბაზის შემდგომ გაფართოებასთან ერთად რაციონალურად გამოვიყენოთ ყველა არსებული სიმძლავრე. ამისათვის ყველა საწარმოს უნდა ჰქონდეს რეალური მამობილიზებელი პროგრამა, მშრომელთა მატერიალური დაინტერესებისათვის საჭირო პირობები.

რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხანა, რომელიც ერთადერთია საქართველოში, ქიმიური მრეწველობის უდიდესი საწარმო იქნება.

მრეწველობის დაგეგმვისა და მართვის აქამდე არსებული სისტემის ნაკლოვანებანი მწვავედ იგრძნობოდა ამ დარგის ახალი საწარმოს მშენებლობისა და ექსპლოატაციის საქმეში. სწორედ ამაზე იმსჯელა ამ დღეებში ქარხნის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ და დასახა ღონისძიებანი საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ახლებურად წარმართვისათვის.

ქარხნის მშენებლობა დაიწყო 1959 წელს. მისი პირველი რიგის ამუშავების ვადა სრულიად არარეალურად, შესრულების შესაძლებლობათა გაუთვალისწინებლად დადგენილი იყო 1962 წლისათვის. ამ ვადის შესაბამისად ქარხანას არ შეეძლო არ შეეკვეთა სათანადო ოდენობის მოწყობილობა. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ეს დავალება არათუ 1962 წელს, არამედ დღესაც მთლიანად არ არის განხორციელებული, ხოლო შემოზიდული მოწყობილობა წლობით უძრავ მდგომარეობაში დარჩა! საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ მოწყობილობის გარდამავალი ნაშთი, განვლილ წლებში, 9 მილიონამდე მანეთს უდრიდა.

კაპიტალდაბანდებათა გეგმები წლების მიხედვით არაპროპორციულად დგებოდა, უზრუნველყოფილი არ იყო სათანადო მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებით. მოიჯარე ორგანიზაციებს მხოლოდ გეგმის თანხობრივი შესრულება აინტერესებდათ, რადგან ეს იყო მათი ძირითადი მაჩვენებელი. ამიტომ გეგმის თანხობრივი შესრულებისათვის ბრძოლაში ნაკლები ყურადღება ეთმობოდა გრაფიკის, რიგითობის დაცვას. სამუშაოებს ასრულებდნენ ნებისმიერ ობიექტებზე. ცუდად მუშაობდა საპროექტო ორგანიზაცია, ხოლო სახალხო მეურნეობის საბჭოს არ შეეძლო ქმედითი კონტროლი გაეწია მისი საქმიანობისათვის, რადგან ეს საპროექტო ქიმიური მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტს ემორჩილებოდა. ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ ამჟამად საპროექტო სიმძლავრის მხოლოდ ერთი მესამედია მწყობრში, მაშინ როცა ფაქტიური კაპიტალდაბანდებანი ქარხანაზე უკვე მთელი ხარჯთაღრიცხვის 90 პროცენტს შეადგენს.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმზე განსაკუთრებით აღინიშნა ქიმიური მრეწველობის ობიექტების მშენებლობისა და სიმძლავრეთა ათვისების გაჭიანურება.

ეს კრიტიკა სავსებით ეხება რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხანასაც. კორდის წარმოების მეორე რიგის საექსპლოატაციოდ გადაცემა ნავარაუდევი იყო მიმდინარე წლის მეორე ნახევრისათვის. ამ ანგარიშით მოეცა ქარხანას 1965 წლის გეგმა. აღნიშნული სიმძლავრე კი დღემდე არ არის ამოქმედებული, ხოლო ამ წარმოების პირველი რიგი საექსპლოატაციოდ გადაეცა მთელი რიგი დეფექტებითა და დასამთავრებელი ობიექტებით.

საპროექტო დეფექტებმა და მონტაჟის უხარისხობამ გამოცდის პირველ დღეებშივე იჩინა თავი. ქარხნის ენთუზიასტებს მზრუნველობა, ძალა და ენერგია არ დაუზოგავთ ამ შეფერხებათა დასაძლევად. მაგრამ ჯერ კიდევ მოუგვარებელია ისეთი სერიოზული საკითხი, როგორიც არის ქარხნის სათანადო მომარაგება აზოტით. აზოტი, რომელსაც რუსთავის ქიმიური კომბინატი გვაწოდებს, ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას ხარისხისა და ატმოსფერული წნევის მიხედვით. ამის გამო ხშირად ირღვევა პროდუქციის გამოშვების ტექნოლოგიური რეჟიმი. მაშასადამე, გვაქვს წუნიც.

ქარხნის ხელმძღვანელობის დროულმა და სამართლიანმა წინადადებამ, რომ მას ჰქონოდა საკუთარი აზოტმომარაგების დანადგარი, სახალხო მეურნეობის საბჭოს მხრივ მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. ახლა კი ყველასათვის ნათელი გახდა, რომ უამისოდ შეუძლებელია საწარმოს ნორმალური მუშაობა. უკვე მიღებულია ზომები. ასეთი დანადგარი მომავალი წლის პირველ ნახევარში ჩადგება მწყობრში.

ქარხნის როგორც სამშენებლო, ისე საექსპლოატაციო მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას უმთავრესად სხვადასხვა რესპუბლიკაში განლაგებული საწარმოები და ორგანიზაციები ახორციელებდნენ. მრეწველობის აქამდე არსებული სისტემის დროს აქ ხშირად იჩენდა თავს ვიწრო საუწყებო, „კუთხურობის" ტენდენციები, ფერხდებოდა ნორმალური მომარაგება.

ყველა ამ მიზეზმა მძიმე პირობები შეუქმნა ჩვენი ქარხნის კოლექტივს. დიდი ჩამორჩენა გვაქვს გეგმის შესრულებაში, უმთავრესად მისი არარეალურობის გამო. მიმდინარე წლის მარტო ცხრა თვის განმავლობაში ქარხნის ზარალმა თვალსაჩინო თანხა შეადგინა!..

დარგობრივი სამინისტროებისა და მომარაგება-გასაღების საკავშირო-რესპუბლიკური კომიტეტების შექმნა მომავალში ალბათ გამორიცხავს ამგვარ ნაკლოვანებებს. ამასთან, მიღწეულ წარმატებათა ანალიზითა და განზოგადებით, დაგეგმვის მეცნიერულ საფუძველზე მოწყობით, მატერიალური რესურსების მობილიზაციითა და მანევრირებით ყველა პირობა შეიქმნება იმისათვის, რომ ქარხანამ წარმატებით შეასრულოს მის წინაშე მდგომი ამოცანა.

სამეურნეო ანგარიშის ლენინური პრინციპი გულისხმობს საწარმოს როგორც დამოუკიდებელი სამეურნეო ერთეულის არსებობას. ეს იმას ნიშნავს, რომ საწარმომ თავის სამეურნეო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები მთლიანად დაფაროს პროდუქციის რეალიზაციით და ამასთან მომგებიანი, რენტაბელური იყოს. ახალ პირობებში საწარმოებს მოეთხოვებათ დაგეგმონ არა მარტო მოგების მატება, არამედ ისიც, თუ რა რაოდენობით უნდა მიიღონ მოგება საწარმოო ფონდების თითოეულ მანეთზე.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საწარმოო გეგმებში საერთო პროდუქციის მაჩვენებლის ნაცვლად რეალიზებული პროდუქციის მოცულობის დაწესებას. ეს გააძლიერებს პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლას და განამტკიცებს საგადასახდელო დისციპლინას. რა თქმა უნდა, ერთიანი გეგმიანი მეურნეობის შესაბამისად საწარმოებს დაუმტკიცდებათ უმნიშვნელოვანესი ნომენკლატურის ნაწარმის დავალებებიც.

ამჟამად რეალიზებულად ითვლება პროდუქცია, რომელიც უკვე განაღდებულია შემკვეთის მიერ. როგორც ჩანს, ეს მაჩვენებელი კვლავაც დარჩება ძალაში. საქმე ის არის, რომ პროდუქციის ხარისხისათვის, მისი რეალიზაციისათვის ბრძოლა და საგადასახდელო დისციპლინის დაცვა უნდა მივიჩნიოთ არა ცალკეულ კოლექტივთა, არამედ მთელი ჩვენი მრეწველობის საბრძოლო ამოცანად. ამასთან სამეურნეო ბრუნვაში და საწარმოთა ურთიერთ ანგარიშსწორებაში უსათუოდ დიდად გაიზრდება სახელმწიფო კრედიტის როლი. ამგვარად, ჩვენში გადახდის უნარსმოკლებული არც ერთი საწარმო არ უნდა იყოს.

დიდად გაფართოვდება საწარმოთა კოლექტივების მატერიალური დაინტერესების შესაძლებლობანი, საწარმოებს თავიანთი მოგებიდან დარჩებათ მეტი სახსრები, რაც მათ საშუალებას მისცემს გააფართოონ წარმოება, სრულყონ ტექნიკა, მატერიალურად წაახალისონ მუშაკები და გააუმჯობესონ მათი კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები.

საწარმოსა და მისი კოლექტივის მატერიალური დაინტერესება დამოკიდებული იქნება პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის ზრდაზე, საწარმოო ფონდების სულ უფრო ეფექტურ გამოყენებაზე. მუშაკთა მატერიალური წახალისების ფონდში ანარიცხების თანხას განსაზღვრავს არა საერთოდ გეგმის შესრულების პროცენტი, არამედ ამ გეგმის აბსოლუტური მოცულობა და მისი შესრულება, ე. ი. საწარმოებმა უნდა გამოავლინონ ყველა თავიანთი შესაძლებლობა, იკისრონ და შეასრულონ გადიდებული გეგმები.

მოგების ხარჯზე მუშებსა და მოსამსახურეებს მიეცემათ არა მარტო პრემიები მუშაობის სათანადო შედეგებისათვის, არამედ ერთდროული ჯილდოც, წლის ბოლოს მოცემულ საწარმოში განუწყვეტელი სტაჟის მხედველობაში მიღებით. ეს ხელს შეუწყობს დისციპლინის განმტკიცებასა და კადრების შენარჩუნებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის მეცნიერულად დასაბუთებული და პრაქტიკულად გამართლებული ღონისძიებანი გვავალებს ყოველმხრივ უზრუნველვყოთ ჩვენი მრეწველობის შემდგომი სწრაფი აღმავლობა, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა.

დ. გოშაძე,
რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხნის დირექტორის მოადგილე ეკონომიურ საკითხებში.

თბილისის წინდის ფაბრიკა „კრწანისის" კოლექტივმა ათ თვეში რამდენიმე ათასი წყვილი ზეგეგმითი წინდა ჩააბარა სახელმწიფოს. ფაბრიკის ამ წარმატებაში თავიანთი წვლილი შეაქვთ კომკავშირელ მუშებს ქ. წულაიას და მ. ენუქიძეს. სურათზე: საქსოვი საამქროს ბრიგადირი ქ. წულაია (მარჯვნივ) და წუნმდებელი მ. ენუქიძე ამოწმებენ წინდის ხარისხს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ცხოვრების კარნახით

პრესის ფურცლებზე

◆

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა რომელი პუნქტიც უნდა ავიღოთ, ისინი ღრმად გამოხატავენ საბჭოთა მრეწველობის მოთხოვნებს და შლიან მისი შემდგომი განვითარების ახალ პერსპექტივებს. ეს აღაფრთოვანებს ყოველ ადამიანს — ხელმძღვანელსა თუ რიგით მუშაკს, რომლებიც ცდილობენ მონახონ თავიანთი ადგილი პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლის წინა ხაზზე, სულ უფრო მეტი წვლილი შეიტანონ ამ საერთო-სახალხო ლაშქრობაში.

„ფიქრები, წინადადებანი" — ასეთი საერთო სათაური აქვს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ჟურნალ **„საქართველოს აგიტატორის"** უკანასკნელ 21-ე ნომერში მოთავსებულ წერილებს. მათი ავტორები არიან მინისტრი, კომბინატის დირექტორი, საწარმოს მთავარი ეკონომისტი, ქარხნის პარტბიუროს მდივანი, აგიტატორი, მუშა.

ჟურნალი იხსნება საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრის **ა. ხუროძის** წერილით. იგი აღნიშნავს იმ უდიდეს როლს, რომელიც ახლადშექმნილ სამინისტროებს აკისრიათ მრეწველობის ახლებურად მართვაში. მინისტრი ლაპარაკობს ახალი სამინისტროს წინაშე მდგომ ამოცანებზე. წერილში ნათქვამია, რომ მომავალ ხუთწლედში ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის ხორცისა და რძის პროდუქტებით უზრუნველყოფა მოითხოვს სამრეწველო სიმძლავრეთა ერთიორად გაზრდას ახალ საწარმოთა აგებისა და მოქმედ საწარმოთა გაფართოების გზით. 1966-1970 წლებში აშენდება ყველ-კარაქის 11 ქარხანა და აიგება 4 მაცივარი. რეკონსტრუირებულ იქნება მთელი რიგი რაიონების ყველ-კარაქის ქარხნები. ხორცის მრეწველობის საწარმოები უკვე მომავალ წელს კურორტებისათვის გამოუშვებენ ფართო ასორტიმენტის 1770 ტონა ნახევარფაბრიკატს. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება სამაცივრო მეურნეობა.

სოხუმის ორჯონიკიძის სახელობის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის დირექტორი **პ. ბერიძე** თავის წერილში აღნიშნავს: „დარწმუნებული ვართ, რომ წარმოების მართვის ახალი სისტემა აუცილებლად გამოიწვევს წარმოების ზრდის ტემპების დაჩქარებას. ეს კი თავისთავად დადებითად იმოქმედებს მუშათა ხელფასის ზრდაზე, აამაღლებს მათს მოთხოვნილებას სახალხო მოხმარების საქონელზე. ყოველივე ეს ღრმად გვაქვს შეგნებული და ვიბრძვით იმისათვის, რომ ავამაღლოთ პროდუქციის ხარისხი, სრულად დავაკმაყოფილოთ მშრომელთა მოთხოვნილება ლამაზ, გამძლე და მაღალხარისხოვან ფეხსაცმელზე".

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორის მოადგილე, მთავარი ეკონომისტი **ი. ცინცაძე** წერს მრეწველობის დარგობრივი პრინციპით მართვის ისეთ კეთილსასურველ შედეგებზე, როგორიც არის წარმოების სპეციალიზაციის გაფართოება, მონათესავე საწარმოებთან ურთიერთკავშირის განმტკიცება, სამრეწველო საწარმოთა ეკონომიური სტიმულირების გაძლიერება, მშრომელთა მატერიალური დაინტერესების ზრდა.

ახალ პირობებში ადამიანებთან აღმზრდელობითი და ორგანიზატორული მუშაობის, კომუნისტური შეგნებულების ამაღლების, შემოქმედებითი აქტივობის ზრდის ამოცანებზე და მათი გადაწყვეტის კონკრეტულ გზებზე ესაუბრება მკითხველს ქუთაისის სატრაქტორო ქარხნის პარტბიუროს მდივანი ა. დოლაბერიძე.

მუშაობის თავის გამოცდილებას გვიზიარებს თბილისის პლასტმასის ქარხნის საწნეხი საამქროს დამმუშავებელი განყოფილების მეორე ბრიგადის აგიტატორი ა. ჩიტჩიური.

პლენუმის მასალებს ეხმაურება და თავისი საწარმოს ცხოვრების მაგალითზე საყურადღებო მოსაზრებებს გამოთქვამს თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის მე-8 საამწყობო-მექანიკური საამქროს შიგამჩარხავი კომუნისტური შრომის დამკვრელი გ. გოგოჩაშვილი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებსა და მათი განხორციელების კონკრეტულ გზებზე სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა ფიქრებისა და წინადადებების გამოქვეყნებით ჟურნალმა „საქართველოს აგიტატორმა" კარგი საქმე გააკეთა. იგი დაეხმარება თავის მკითხველს.

კურსების პირველი მეცადინეობა

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელ ქარხანაში დაიწყო საწარმოს ხელმძღვანელი კადრების ეკონომიური ცოდნის დონის ამაღლების ერთწლიანი კურსების მეცადინეობა.

კურსების მსმენელები — საამქროებისა და განყოფილებების უფროსები, ოსტატები, ქარხნის წამყვანი ინჟინრები — შეიკრიბნენ საწარმოს სხდომათა დარბაზში. კურსები შესავალი სიტყვით გახსნა ელმავალსაშენებელი ქარხნის პარტკომის მდივანმა კ. გურულმა.

პირველი ლექციები წაიკითხეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მასწავლებლებმა. პოლიტეკონომიის კათედრის გამგემ რ. მელაძემ წაიკითხა ლექცია თემაზე „სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმი მეურნეობის გაძღოლის პრაქტიკაში სოციალიზმის ეკონომიური კანონების გამოყენების შესახებ". (საქდესი).

იდეოლოგიური დარგის მუშაკთა ტრიბუნა

თვეზე ცოტა მეტი გავიდა პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლის დაწყებიდან. მიმდინარე სასწავლო წელი წინა წლებისაგან განსხვავებით გამოირჩევა მთელი რიგი სიახლეებით. ამასთან დაკავშირებით რედაქციამ მიიღო მრავალი შეკითხვა. მისი ავტორები არიან პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, პროპაგანდისტები, სემინარის ხელმძღვანელები, რიგითი კომუნისტები. მათი სურვილია გაზეთმა უფრო დაწვრილებით გააშუქოს ის სიახლენი და თავისებურებანი, რომლებიც პარტიული სწავლების ახალ სისტემას ახასიათებს.

ვასრულებთ მათს თხოვნას და ამ საკითხზე ქვემოთ ვაქვეყნებთ წერილს.

პარტიულ სწავლებას — შემოქმედებითი მიდგომა

პარტიული სწავლების ახალი სისტემა ისეა აგებული, რომ ყოველ კომუნისტს, უპარტიო აქტივისტს საშუალება აქვს უახლესი წლების მანძილზე ღრმად, ყოველმხრივ დაეუფლოს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, მის შემადგენელ ნაწილებს — ფილოსოფიას, პოლიტიკურ ეკონომიასა და მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლებს, აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიას.

პოლიტიკური განათლების პირველი ანუ დაწყებითი რგოლის ერთ-ერთ მთავარ ფორმას დაწყებითი პოლიტიკური სკოლები წარმოადგენენ. ეს სკოლები გათვალისწინებულია იმ კომუნისტებისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ დაუფლებიან პოლიტიკურ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობის მტკიცე ჩვევებს და საკმაოდ არ არიან მომზადებულნი მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმა შესწავლისათვის. სკოლების მიზანია მსმენელებს მისცეს პოლიტიკური ცოდნის მინიმუმი და მოამზადოს ისინი მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების კურსის შესასწავლად. სასწავლო გეგმა აქ ნავარაუდევია ორი წლისათვის.

დაწყებით პოლიტიკურ სკოლებში, როგორც წესი, კვირაში ერთი ორსაათიანი მეცადინეობა ტარდება. მაგრამ თუ მსმენელები, პროპაგანდისტი და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია საჭიროდ და მოხერხებულად მიიჩნევენ, შესაძლებელია მეცადინეობა ჩატარდეს თვეში 2-ჯერ, ოთხ-ოთხი საათით. გარდა ამისა, გამორიცხული არ არის დაწყებით პოლიტიკურ სკოლებში სწავლების ხანგრძლივობა მსმენელთა სურვილით ნაცვლად ორი წლისა 3 წლამდე გადიდდეს, ისე რომ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათების მთლიანი რაოდენობა (128 საათი) არ შეიცვალოს. მაშინ შესაძლებელი იქნება თვეში 2-3 მეცადინეობის (ორ-ორ საათიანი) ჩატარება.

დაწყებითი პოლიტსკოლის სასწავლო გეგმაში ხუთი განყოფილება შედის. პროპაგანდისტს უფლება აქვს თვითონ განსაზღვროს, თუ როგორ სჯობს სამეცადინო ცხრილის შედგენა მორიგი თვის ფარგლებში. უფრო მიზანშეწონილია, თუ ამ ცხრილით გაითვალისწინებს პროგრამის არა ერთი, არამედ რამდენიმე საკითხის შესწავლას. ამასთან უკეთესი იქნება, თუ თვითეულ რაიონში ყველა პოლიტსკოლა დაიცავს საკითხების შესწავლის ერთნაირ თანმიმდევრობას, რაც გააადვილებს რაიკომების პოლიტიკური განათლების კაბინეტებთან არსებული პროპაგანდისტთა მუდმივმოქმედი სემინარების მუშაობას.

პარტიულ-პოლიტიკური მომზადების დაწყებითი საფეხური არ შეიძლება სწავლების მხოლოდ ერთი ფორმით — პოლიტსკოლებით განისაზღვროს.

პარტიული სწავლების სანიმუშო სტრუქტურაში მითითებულია აგრეთვე დაწყებითი პოლიტიკური მომზადების სხვა ინდივიდუალური და კოლექტიური სახეები. საქმე ის არის, რომ პარტიაში საკმაოდ ბევრია ისეთი ამხანაგი, რომლებიც სათანადოდ არ არიან მომზადებულნი სკკპ ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიისა და მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის სისტემატიზებული კურსების ათვისებლად, მაგრამ რომლებსაც უკვე შესწავლილი აქვთ დაწყებითი პოლიტიკური სკოლების პროგრამაში შემავალი ცალკეული დისციპლინა.

ამასთან ზოგიერთ კომუნისტს თუმცა ჰქონია სათანადო მომზადება, მაგრამ ამა თუ იმ მიზეზის გამო არ შეუძლია პოლიტსკოლაში მეცადინეობა. მათთვის რეკომენდებულია პარტიული სწავლების სხვადასხვა ინდივიდუალური და კოლექტიური სახეები.

მაგალითად, თუ კომუნისტების გარკვეული ჯგუფი (10-12 კაცი) სურვილს გამოთქვამს შეისწავლოს არა პოლიტსკოლებისათვის გათვალისწინებული საზოგადოებრივ დისციპლინათა მთელი კომპლექსი, არამედ ერთი რომელიმე საგანი (მაგალითად, საზოგადოებათმცოდნეობა, ან სკკპ საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხები, ან კიდევ მეცნიერული ათეიზმი და სხვ.), მათთვის შესაძლებელია შეიქმნას სპეციალური ჯგუფი და გამოიყოს პროპაგანდისტი. ხოლო თუ ამავე მომზადების კომუნისტებს სხვადასხვა დისციპლინის მიმართ გამოამჟღავნებენ ინტერესს, მათთვის შეიძლება დაინიშნოს ინდივიდუალური კონსულტაციები.

მცირერიცხოვანი ორგანიზაციების კომუნისტებისათვის, ადგილებზე სათანადო კონსულტანტების შერჩევის გაძნელების შემთხვევაში, შესაძლებელია კონსულტაციები დაინიშნოს რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტში და ამისათვის დაწესდეს გარკვეული დღეები.

კომუნისტების პარტიულ-პოლიტიკურ მომზადებაში, იდეურ წრთობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პოლიტიკური განათლების საშუალო რგოლს და მის ძირითად ფორმას — მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლას. მსმენელებმა სწორედ აქ უნდა მიიღონ მტკიცე ცოდნა სკკპ ისტორიაში, მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიაში, პოლიტიკურ ეკონომიაში, მეცნიერულ კომუნიზმში, პარტიის შესახებ ლენინური მოძღვრების საფუძვლებში და კოლექტივში პარტიული მუშაობის საკითხებზე.

ამ სკოლების მიზანია მსმენელებს გამოუმუშაოს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებებზე, პარტიის გადაწყვეტილებებსა და დოკუმენტებზე, პოლიტიკურ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევები, საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენების სწორი შეფასების უნარი, ასწავლოს პოლიტიკური მუშაობა მასებში.

დაწყებითი პოლიტსკოლებისაგან განსხვავებით, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლების სასწავლო გეგმა შედგენილია სამ ვარიანტად. ისინი განსხვავდებიან მხოლოდ თეორიული კურსების გავლის თანმიმდევრობით. ეს იმ მიზნით არის გაკეთებული, რომ პარტიულ ორგანიზაციებს საშუალება ჰქონდეთ განსაზღვრონ საგნების რიგითობის წესი იმის მიხედვით, თუ რამდენად უზრუნველყოფენ ცალკეულ დისციპლინებში კვალიფიციური პროპაგანდისტების შერჩევას.

სამივე ვარიანტის სასწავლო გეგმა ექვს განყოფილებას შეიცავს. იგი ნავარაუდევია ოთხი წლისათვის, ყოველწლიურად 64 საათისა და თვეში 8 საათის ანგარიშით, ე. ი. იგულისხმება, რომ ამ სკოლებშიც მეცადინეობა ჩატარდება კვირაში ერთხელ (ორსაათიანი) ან თვეში ორჯერ (ოთხსაათიანი).

მაგრამ, ისევე, როგორც დაწყებით პოლიტსკოლებში, არც აქ არის გამორიცხული მეცადინეობის პერიოდულობის შეცვლა. საჭიროა გავითვალისწინოთ სამუშაოთი და სხვა დავალებებით კომუნისტთა დატვირთვა. ასეთ შემთხვევებში შესაძლებელია დავაწესოთ თვეში 2-3 ორსაათიანი მეცადინეობა, ოღონდ არა სწავლების ვადის გახანგრძლივების ხარჯზე, არამედ იმ პირობით, თუ სასწავლო კურსის გარკვეული ნაწილი შესწავლილი იქნება დამოუკიდებლად.

პარტიული ორგანიზაცია და სკოლის ხელმძღვანელი თვითონ განსაზღვრავენ კონკრეტულ სამეცადინო ცხრილს ყოველი თვის ან კვარტალისათვის. აქაც შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას პროგრამის რამდენიმე განყოფილების ერთდროული შესწავლა, ან თანმიმდევრობით — პირველ წელს პარტიის ისტორიის შესწავლა, მომდევნო წელს ფილოსოფიის ან პოლიტეკონომიისა და ა. შ.

საშუალო პოლიტიკური მომზადების სხვა ფორმას წარმოადგენს მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემადგენელი ნაწილების შესწავლა დამოუკიდებლად ან სემინარებზე, კონფერენციებზე და ა. შ. თუ კომუნისტების გარკვეულ ნაწილს სურვილი აქვს უფრო ღრმად შეისწავლოს მარქსიზმის ერთი რომელიმე შემადგენელი ნაწილი, მაგალითად, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია, ან პოლიტიკური ეკონომია, ან სკკპ ისტორია და სხვა, შესაძლებელია მათთვის შეიქმნას სემინარი, ხოლო თუ ასეთ მსმენელთა რიცხვი მცირე აღმოჩნდება, შეიქმნას საკონსულტაციო ჯგუფი ან დაინიშნოს მათთვის ინდივიდუალური კონსულტაციები, სადაც მთავარი ყურადღება წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობას დაეთმობა.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძვლებისა და კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკის დაუფლების უმაღლესი საფეხური გულისხმობს სერიოზულ დამოუკიდებელ მუშაობას, რომელიც განმტკიცებული იქნება მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლისა და განხილვის კოლექტიური ფორმებით. ერთ-ერთ ასეთ ფორმას წარმოადგენს პარტიულ-სამეურნეო აქტივის სკოლები. მისი სასწავლო პროგრამები, სკკპ ისტორიის კურსთან ერთად, ითვალისწინებენ მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიისა და მეცნიერული კომუნიზმის, პარტიული მშენებლობისა და მრეწველობის ან სოფლის მეურნეობის ეკონომიკის კურსების შესწავლას. ცალკეული კურსების მიხედვით გამოიყოფა ლექტორები. მიზანშეწონილია სკოლების მუშაობას უხელმძღვანელონ პარტიის რაიონული ან საქალაქო კომიტეტების მდივნებმა.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის სკოლებში სწავლების ვადა 4 წელია. სკოლის მსმენელებს ყოველწლიურად ასათვისებელი აქვთ 156-საათიანი სასწავლო პროგრამა. ეს საკმაოდ რთული და სერიოზული საქმეა. ამ პროგრამის დასაძლევად საჭირო იქნებოდა ყოველკვირეულად ოთხ-ხუთსაათიანი მეცადინეობის გამართვა, რის განხორციელებაც პრაქტიკულად გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ამიტომ უფრო მიზანშეწონილია მეცადინეობის პერიოდულობის შემცირება იმ პირობით, თუ სასწავლო გეგმა დაძლეული იქნება დამოუკიდებელი მუშაობის ხარჯზე.

პარტიაში ძალიან ბევრი ამხანაგია, რომლებსაც მრავალი წლის პოლიტიკური სწავლების შედეგად მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების მტკიცე ცოდნა აქვთ და რომლებმაც დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევები შეიძინეს. თეორიული ცოდნის სრულყოფა მათთვის მხოლოდ მოვალეობა კი არა, ღრმა შინაგანი მოთხოვნილებაა. იმის ცდებმა, რომ „ორგანიზებულად დავაყენოთ" მათი სწავლება, ვუკარნახოთ მუშაობის ზუსტად განსაზღვრული ფორმები, შეიძლება მხოლოდ ხელი შეუშალოს საქმეს. ამიტომ პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა შესაძლებლობა მისცენ მათ დამოუკიდებლად აირჩიონ როგორც შესასწავლი პრობლემები, ისე მეცადინეობის ფორმები. მათთვის სასარგებლოა სწავლების ისეთი კოლექტიური ფორმები, როგორიც არის თეორიული, საპრობლემო, მეთოდოლოგიური სემინარები პარტიის ისტორიაში, ფილოსოფიაში, პოლიტიკურ ეკონომიაში, კომუნისტური აღზრდის, მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის საკითხებში, სკკპ საგარეო და საშინაო პოლიტიკის, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის პრობლემებში და სხვ.

თეორიული სემინარების მსმენელები, როგორც წესი, შეისწავლიან ერთ რომელიმე დისციპლინას მთლიანად. თანმიმდევრულად, არსებული სასწავლო გეგმის მიხედვით, მაგალითად, სკკპ ისტორიის ან პოლიტიკური ეკონომიის მთელ კურსს. საპრობლემო სემინარების მსმენელები ამ კურსიდან შესასწავლად ირჩევენ მხოლოდ ყველაზე აქტუალურ პრობლემებს. მაგალითად, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის კურსიდან შეიძლება შერჩეულ იქნას „კომუნიზმის მშენებლობის აქტუალური პრობლემები" ან „მორალისა და ზნეობრივი აღზრდის თეორიული საკითხები", „კომუნისტური აღზრდის პრობლემები" და სხვ. მეთოდოლოგიური სემინარები შეისწავლიან ამა თუ იმ კონკრეტული მეცნიერების მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, ფილოსოფიურ პრობლემებს. მაგალითად, თანამედროვე ბუნებისმეტყველების, მედიცინის, ბიოლოგიის, ტექნიკის ფილოსოფიურ პრობლემებს.

იმ ამხანაგებისათვის, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზის გამო არ შეუძლიათ ან არა სურთ მონაწილეობა მიიღონ უმაღლესი განათლების კოლექტიურ ფორმებში, შესაძლებელია შეიქმნას საკონსულტაციო ჯგუფები ან მოეწყოს ინდივიდუალური გეგმით სწავლება. საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციებმა აღადგინონ კონსულტანტების ინსტიტუტი და იზრუნონ მათი საქმიანობის გაუმჯობესებისათვის.

პარტიული განათლების უმაღლესი რგოლისათვის წინასწარ შედგენილი რაიმე რეცეპტი, სპეციალური სასწავლო პროგრამები არ არსებობს. მაგრამ რეკომენდებულია მარქსისტულ-ლენინური თეორიის ცალკეული თემების, საკითხებისა და პრობლემების დიდი რაოდენობა, სადაც მაღალი განათლების კომუნისტებს შეუძლიათ აირჩიონ მათთვის საინტერესო საკითხები და შეუდგნენ მათ დამუშავებას. ამ საკითხების პოვნა შეიძლება ბროშურაში „პარტიული სწავლების სანიმუშო სტრუქტურა, თემატიკა, სახელმძღვანელოები, ინდივიდუალური და კოლექტიური მუშაობისათვის", რომელიც გამოცემულია როგორც რუსულ, ისე ქართულ ენებზე.

პარტიული განათლების ახალი სისტემის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელება დიდად არის დამოკიდებული სწავლების ყველა რგოლის ხელმძღვანელის — პროპაგანდისტის, ლექტორის, კონსულტანტის თეორიული მომზადების დონეზე, მათს ოსტატობაზე, უნარზე.

ბუნებრივია, რომ პარტიული განათლების ყოველ რგოლში მეცადინეობა უნდა წარიმართოს განსხვავებულად, დიფერენცირებულად. მაგალითად, დაწყებით პოლიტიკურ სკოლაში უნდა აიგოს თხრობისა და გასაუბრების მეთოდზე, ე. ი. პროპაგანდისტმა მეცადინეობის ერთი ნაწილი ახალი მასალის სადა, პოპულარული ენით გადაცემას უნდა დაუთმოს, ხოლო მეორე ნაწილი — ძველი და ახალი მასალის გარჩევა მსმენელებთან გასაუბრებას.

მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლებში გათვალისწინებულია მიმოხილვითი ხასიათის ლექციების ჩატარება და თეორიული გასაუბრების მოწყობა. „პარტიის შესახებ ლენინური მოძღვრების საფუძვლებისა და კოლექტივში პარტიული მუშაობის" კურსის შესწავლისას ეწყობა მხოლოდ გასაუბრებანი. ამ სკოლებში მთავარი ყურადღება მსმენელთა დამოუკიდებელ მუშაობას ექცევა.

როგორც ერთ, ისე მეორე რგოლში პროპაგანდისტებმა ფართოდ უნდა დანერგონ ცალკეული დისციპლინების მიხედვით მსმენელებისათვის პრაქტიკულ დავალებათა მიცემა, კონტროლი და დახმარება გაუწიონ მათ შესრულებაში.

პოლიტიკური განათლების უმაღლეს რგოლში — სემინარებზე, კონფერენციებზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მეცადინეობის აქტიურ ფორმებს, მოხსენებების განხილვას, რეფერატებით გამოსვლებს, კოლექტიურ გასაუბრებას, საინტერესო, ჯანსაღ კამათსა და დისკუსიებს, კონკრეტულ დავალებათა შესრულებას, პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარებას და სხვ.

საშუალო და უმაღლესი რგოლის მსმენელთა ცოდნისა და მომზადების საზომი იქნება აქტიური პირადი მონაწილეობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ლექციებით, პოლიტიკური მოხსენებებით და შინაარსიანი საუბრებით გამოსვლა მშრომელთა წინაშე, პრაქტიკული და თეორიული ხასიათის წერილების, სტატიების მომზადება და სხვ.

დაწყებითი და საშუალო რგოლის სკოლების სასწავლო პროგრამები ერთდროულად რამდენიმე განსხვავებული საგნის შესწავლას ითვალისწინებენ. ბუნებრივია, რომ ერთ პროპაგანდისტს გაუჭირდება კვალიფიციური მეცადინეობის ჩატარება ყველა ამ დისციპლინაში. სწორად მოიქცნენ ის პარტიული ორგანიზაციები, რომლებმაც ძირითად პროპაგანდისტებთან ერთად დამხმარე პროპაგანდისტებიც შეარჩიეს. თუ რომელიმე ორგანიზაციას გაუძნელდება ცალკეული დარგის პროპაგანდისტის ადგილზე შერჩევა, საჭირო იქნება დახმარებისათვის მიმართოს რაიკომს, ქალაქკომს...

მარქსიზმის შესწავლა მხოლოდ ცალკეული პოპულარული ბროშურებით, სტატიებითა და სახელმძღვანელოებით, რა კარგადაც უნდა იყოს ისინი შედგენილი, შეუძლებელია. საჭიროა უაღრესად დაძაბული, სერიოზული, გულმოდგინე მუშაობა პირველწყაროებზე, თვით მარქსიზმის კლასიკოსების შრომებზე.

ვ. კაჭარავა,
საქ. კპ ცკ-ისა და თბილისის კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლის გამგე.

ვ. ესვანჯია,
კონსულტანტი.

ჰექტარზე 200 ცენტნერი...

ხალისიანი ფუსფუსია გუდაუთის რაიონის ახალსოფლის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ზვრებში. კოლმეურნენი ვენახებს შესევიან. ოქროსფერი ცოლიკაურით ივსება კალათები და გოდრები. ყურძნით დატვირთული მანქანები გუდაუთის ღვინის ქარხნისაკენ მიჰქრიან.

— ჩვენს კოლმეურნეობას, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი დ. გოგობერიშვილი, — წელს გეგმით 1020 ტონა ყურძენი უნდა მიეყიდა სახელმწიფოსათვის. მაგრამ მოსავალმა მოლოდინს გადააჭარბა და მის ნაცვლად 2.000 ტონა ყურძნის ჩაბარებას ვვარაუდობდით. ვალდებულებაც გავანაღდეთ. უკვე მოვკრიფეთ და ღვინის ქარხანას ჩავაბარეთ 2.000 ტონა ცოლიკაური. ეს ჩვენი მევენახეების მთელი წლის შეუნელებელი შრომის შედეგი და წინასაყრილობო ნობათია. ახლა ჩხავერის ჯიშის ყურძენს ვკრეფთ. 800 ტონამდე ამ ჯიშის ყურძენს მივცემთ სამშობლოს.

სულ 180 ჰექტარი ვენახები გვაქვს გაშენებული, მათ შორის სრულმოსავლიანია 123 ჰექტარი.

კოლმეურნეობა წელს ყურძნის სარეკორდო მოსავალს იღებს — საშუალოდ ჰექტარზე 180 ცენტნერს. ცოლიკაურის მოსავალმა კი, რომელსაც 98 ჰექტარი უჭირავს, საშუალოდ ჰექტარზე 200 ცენტნერს მიაღწია.

კოლმეურნეობის მეოთხე ბრიგადაში, რომელსაც გიორგი მელაშვილი ხელმძღვანელობს, 22 ჰექტარ ვენახზე გეგმით გათვალისწინებული 186 ტონის ნაცვლად 440 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი მოკრიფეს. საშუალო მოსავლიანობამ 220 ცენტნერს მიაღწია. მათ არც მეექვსე ბრიგადის (ბრიგადირი ვაჟა ჩალაძე) მევენახეები ჩამორჩებიან. აქ საშუალო მოსავლიანობა 180 ცენტნერს უდრის. ყურძნის უხვი მოსავლის მიღებაში ქების ღირსი არიან აგრეთვე მესამე, მეხუთე, პირველი და მეორე ბრიგადები.

ყურძნის უხვი მოსავალი თავისთავად არ მოსულა. ზვავისა და ბარაქის შესაქმნელად ერთნაირად იბრძოლეს მევენახეებმა — კონსტანტინე ლობჟანიძემ, ვარლამ ჩალაძემ, ვარდენ გოგობერიშვილმა, ბესარიონ კაკილაძემ, ანეტა ციხისელმა, კოწია გოგშელიძემ, ზოია მაისურაძემ, ნუნუ გოგშელიძემ, გალინა გოგლიძემ, იამზე მაისაშვილმა, მექანიზატორებმა — ენგურ ჩალაძემ, გული ქობალიამ, მიხეილ ლუდუშიძემ, დიმიტრი ბენიამ და სხვებმა.

ახალსოფლელთა ფულადი შემოსავალი წელს ერთ მილიონ მანეთს გადააჭარბებს. ეს დოვლათი ძირითადად ყურძნის უხვი მოსავლის შედეგია.

თუ რთვლის დაწყებამდე მხოლოდ შორიდან კითხულობდნენ ამბებს, ახლა ამ ცხარე დღეებში ხშირად ერთად თათბირობენ კოლმეურნეობისა და ღვინის ქარხნის ხელმძღვანელები, რადგან თუ ქარხანაში ყურძნის მიღება-გადამუშავება შეფერხდა, ეს დიდად დააბრკოლებს საერთო საქმეს.

დიდი რთველია ახალსოფელში. ზვრების ბარაქას — ყურძენს სახელმწიფო მარანში აბინავებენ.

ი. გობეჩია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

• • •

სურათზე: ყურძნის კრეფა გუდაუთის რაიონის ახალსოფლის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში. წინა პლანზე — ყურძნის მკრეფავი ნუნუ გოგშელიძე, რომელიც ყოველდღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

ფოტო გ. ტოლმაჩევისა.

აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას დაბადების 65 წლისთავის გამო

გამოჩენილი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე

შესრულდა 65 წელი გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვა- ს, აკადემიკოს სიმონ ნიკოლოზის-ძე ჯანა- ას დაბადებიდან. სამწუხაროდ, „ჩუდბედად ყოლიმა ავადმყოფობამ" მისი მეცნიერუ- ნიჭის სრული გაფურჩქვნის ჟამს, 47 ის ასაკში, შეწყვიტა დიდი საბჭოთა მეც- ერის, საზოგადო მოღვაწისა და მგზნებარე ტრიოტის შესანიშნავი სიცოცხლე.

სიმონ ჯანაშია დაიბადა 1900 წლის 18 ემბერს აწინდელი მახარაძის რაიონის ოფ. მაკვანეთში. დაწყებითი განათლება ახში მიიღო. ოჯახიდანვე გამოჰყვა სიმონს რთველი ხალხის წარსულისა და ქართული ლტურის დიდი სიყვარული.

1918 წლის სექტემბერში ს. ჯანაშია თბი- ისის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. ოფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ივ. ჯავახიშ- ლის რჩევით მან გადაწყვიტა ერთდროუ- ად ორ დარგზე — ისტორიულსა და ენათ- ცნიერულზე ესწავლა. ამიერიდან ს. ჯანა- ამ თავის უპირველეს მიზნად გაიხადა ქართ- ლი ხალხის ისტორიის ღრმად შესწავლა ფილოლოგიურ-ენათმეცნიერული კვლევა- ბა. საფუძვლიანად მომზადებული სტუ- ტის ნაყოფიერი მუშაობა უნივერსიტეტ- იმით დამთავრდა, რომ 1922 წლის 30 ის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ულტეტის წინაშე დიდმა ქართველმა ის- რიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა სიმონ ჯანა- ს საპროფესოროდ დატოვება იშუამდგომ- 1926 წლის 31 მარტს სიმონ ჯანაშიამ რმატებით ჩააბარა სადოქტორო გამოცდები ამ დროიდან გვერდით ამოუდგა თავის სა- ლოვან მასწავლებელს. 1935 წლიდან ის ართველოს ისტორიის კათედრის გამგე და ლისის უნივერსიტეტის აღზრდილთა შო- ს პირველი პროფესორია.

უნივერსიტეტს გარდა, ს. ჯანაშია მუშაობ- სხვადასხვა სამეცნიერო-საკვლევ დაწესე- ლებაში.

1941 წელს, როდესაც საქართველოს სსრ ცნიერებათა აკადემია დაარსდა, პროფ. ს. ნაშია აირჩიეს ამ აკადემიის ნამდვილ წევრთა პირველ შემადგენლობაში. ამ დღიდან სიცოცხლის დასასრულამდე იყო აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი და ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი.

ს. ჯანაშიას სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ფართოდ გახდა ცნობილი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. საქართველოს, კავკასიისა და წინა აზიის ხალხების ისტორიისა და კულტურის სახელოვანი მკვლევარი ორმოცდასამი წლის ასაკში 1943 წელს აირჩიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად

ფართო ისტორიულ-ფილოლოგიური და ენათმეცნიერული განათლება, საისტორიო წყაროების ღრმა მეცნიერული ანალიზი, დიდი ერუდიცია და მარქსისტული მეთოდის მარჯვედ გამოყენება უქმნიდა საფუძველს ს. ჯანაშიას, მის წინამორბედთა შეხედულებებისაგან განსხვავებით, სრულიად ახლებურად დაესვა და გადაეწყვიტა საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი პრობლემები. სიახლე, რომელიც ამ პრობლემების გაშუქებაში ს. ჯანაშიას სახელს უკავშირდება, ის არის, რომ განსვენებული მეცნიერის ნაშრომებში ძველი საქართველო განიხილება როგორც უფრო ვრცელი სამყაროს — ვიწრო ასპექტით კავკასია, ხოლო ფართო ჯაგებით — ძველი აღმოსავლეთი — ორგანული, მაგრამ თავისთავადი ნაწილი, რომელიც სხვა ნაწილებს უკავშირდება მრავალსახოვანი გენეტური და ისტორიული გზებით. ს. ჯანაშია ქართველთმცოდნეებს შორის ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც ამ მიმართულებით მეცნიერული კვლევის წარმატების აუცილებელ პირობად მიიჩნია კომპლექსური მეთოდის გამოყენება და მეცნიერების სხვადასხვა დარგის (ისტორია, ენათმეცნიერება, არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ანთროპოლოგია) კოოპერირება. პრობლემისადმი ამგვარი მიდგომის საფუძველზე დააყენა მან ახალ ნიადაგზე საქართველოს ძველი ისტორიის შესწავლის საქმე. თავი იჩინა ახალმა, მარქსისტულმა მეთოდმა ქართულ ისტორიოგრაფიაში. ქართული ისტორიოგრაფიის შემდგომი წინსვლა გვიჩვენებს ს. ჯანაშიას დამსახურების ფასდაუდებელ მნიშვნელობას ამ მხრივ.

ამ რიგის საკითხთა წრეს მიეკუთვნება ს. ჯანაშიასეული გადაწყვეტა ქართველ ტომთა პირველსაცხოვრისის საკითხებისა. ამ მიმართულებით კვლევის წარმართვა ს. ჯანაშიას შეხედულებით სრულიადაც არ ნიშნავდა მესოპოტამიის, მცირე აზიის ან ირანის უძველეს მოსახლეობასთან ქართველი ტომებისა და ქართული კულტურის მონათესაობა-სიახლოვეზე ხელის აღებას. პირიქით, მან არაერთი ნაშრომი უძღვნა ახლო აღმოსავლეთის მოსახლეობასთან ქართველი ტომების ნათესაობისა თუ კულტურულ-ისტორიული სიახლოვის საკითხების გაშუქებას: „თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი", „უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე". „მესხთა ტომის ისტორიიდან" და სხვ. ბრწყინვალე ნიმუშია იმისა, რომ მეცნიერულად დასაბუთდეს ქართველ ტომთა აბორიგენობის, საქართველოს მიწაწყალზე იმთავითვე მოსახლობის აღიარებასთან ერთად, მათი უფრო ფართოდ განსახლება და ახლო აღმოსავლეთის უძველეს მოსახლეობასთან ქართველი ტომებისა და უძველესი ქართული კულტურის სიახლოვეც და, შესაძლოა, ნათესაობაც. ს. ჯანაშიას შემდეგდროინდელ ქართველთმცოდნეობაში. სულ უფრო და უფრო ახალი საფუძველი უჩნდება მის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ახლო აღმოსავლეთის და წინა აზიის უძველესი კულტურისა და ხალხთა ისტორიის საკითხების კვლევისას აუცილებელია ანგარიში გაეწიოს კავკასიელთა, კერძოდ, ქართველთა ენობრივი. ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური სინამდვილის ღრმა ცოდნას. ახლა, ს. ჯანაშიას გარდაცვალების მეორე ათეული წლის დასასრულს, როგორც საბჭოთა, ისე უცხოელი მეცნიერები სულ უფრო და უფრო ხშირად მიუთითებენ კავკასიურ მასალათა მნიშვნელობაზე ამ მხრივ.

ქართველ და სხვა კავკასიელ ტომთა და ხალხთა უძველესი ისტორიისა და მათი ურთიერთობის საკითხების კვლევას ს. ჯანაშიას ნაშრომებში დიდი ყურადღება ექცევა. მან დააწინაურა ონომასტიკური მასალის კვლევის საქმე და მარჯვედ გამოიყენა ის უძველესი ხანის მოსახლეობის გარკვევისა და განსახლების საკითხების შესასწავლად. ბუნებრივია, ეს საკითხები მჭიდროდ დაუკავშირდა საისტორიო გეოგრაფიულ კვლევას. სწორედ ამ მხრივ არის განსაკუთრებით საყურადღებო ს. ჯანაშიას ნაშრომები.

დიდად მნიშვნელოვანია ს. ჯანაშიას კვლევა საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის შემუშავების საქმეში. ქართულ ისტორიოგრაფიაში ს. ჯანაშიამ პირველმა სცადა დაეფუძნებინა ამ მხრივ წარმართული კვლევა საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების შესახებ მარქსისტულ მოძღვრებაზე, რის შედეგადაც წარმოსდგა სქემა. რომელიც გაზიარებულია დღევანდელ ისტორიოგრაფიაშიც. პერიოდიზაციის ს. ჯანაშიასეული სქემა ეხება საქართველოს ისტორიას უძველესი ხანიდან XI საუკუნემდე და აღიარებს, რომ ქართველმა ტომებმა გაიარეს გვაროვნული, მონათმფლობელური და ფეოდალური საფეხურები; ძვ. წ. VI-IV საუკუნეებიდან გვაროვნულ წყობილებას ცვლის მონათმფლობელობა, ე. ი. იწყება სახელმწიფოებრიობის ისტორია საქართველოში. ს. ჯანაშია ჯერ კიდევ 1935-36 წლებში წერდა, რომ პირველი კლასობრივი საზოგადოება საქართველოში მონათმფლობელური საზოგადოება იყო. ამასთანავე ის მკაფიოდ განასხვავებდა ქართულ მონათმფლობელობას ბერძნულ-რომაულისაგან. სტრაბონის ცნობების სათანადო ადგილის ს. ჯანაშიასეული ინტერპრეტაცია იმდროინდელი იბერიის საზოგადოებრივი წყობილების დახასიათების საშუალებასაც იძლევა. ს. ჯანაშიას შეხედვით ეს გარდამავალი ტიპის საზოგადოებაა, სადაც წარმოების სხვადასხვა წესები ებრძვიან ერთმანეთს. წარმოების მონათმფლობელურ წესს არ მიუღია საქართველოში ისეთი ფართო ხასიათი, რომ ის მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების საძირკველი გამხდარიყო, როგორც, ვთქვათ, რომსა და საბერძნეთში. ამრიგად. ს. ჯანაშიამ აღიარა მონათმფლობელური საზოგადოების არსებობა საქართველოში და, ამასთანავე. წარმატებით სცადა მისი თავისებურებების ხაზგასმა, აღიარა მისი კლასიკურ სახემდე განუვითარებლობა (ადრემონათმფლობელური ხასიათი).

მონათმფლობელური საზოგადოების არსებობის აღიარება ძვ. წ. VI-IV საუკუნეებიდან თავისთავად დიდი სიახლე იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში, მაგრამ ამ წყობილების თავისებურებათა მითითებას არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა. საკითხის ასე გადაწყვეტა იმითაც იყო საყურადღებო. რომ ახლებურად ისმოდა საქართველოსა და. საერთოდ, კავკასიაში სახელმწიფოებრიობის ისტორიის საკითხები.

ს. ჯანაშიამ აღნიშნა და უხვი მასალით დაასაბუთა, რომ ფეოდალური ურთიერთობა საქართველოში გაცილებით უფრო ადრე ჩაისახა და განვითარდა, ვიდრე ეს მის დრომდე იყო წარმოდგენილი ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში.

განსვენებული მეცნიერის ბრწყინვალე ანალიზის უნარის მაჩვენებელია ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარებისა და გამარჯვების საქმეში ქრისტიანული რელიგიის როლის შეფასება. მკაფიო ჩვენება იმისა, რომ „ქრისტიანობა საქართველოს მოევლინა, როგორც აზნაურთა რელიგია და ძველი მონარქიის ოფიციალური კულტი".

ფეოდალიზმის წარმოშობისა და საქართველოში ფეოდალური რევოლუციის საკითხების წარმატებითმა კვლევამ ს. ჯანაშია მიიყვანა დიდადმნიშვნელოვან დასკვნამდე იმის შესახებ, რომ ახ. წ. მეექვსე საუკუნიდან მთელ საქართველოს მიწაწყალზე შეუზღუდველად მკვიდრდება ფეოდალური საწარმოო წესი, საკუთრება. სახელმწიფოებრიობა და იდეოლოგია.

ს. ჯანაშიას კვლევის სფეროში ასევე დიდი ადგილი ეჭირა შემდგომ პერიოდს (VII-IX სს.), ცნობილს არაბობის ხანად. ქართული ისტორიოგრაფიის დიდადმნიშვნელოვან შენაძენად ითვლება სამართლიანად ავტორის მონოგრაფია „არაბობა საქართველოში".

ს. ჯანაშიას მოღვაწეობაში დიდი ყურადღება ეთმობა ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისა და ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნის საკითხებს. ამ საკითხის ს. ჯანაშიასეული გაშუქების სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ მან პირველმა დააყენა საკითხი ფეოდალური საქართველოს გაერთიანებისათვის ეკონომიური საფუძვლების არსებობის აუცილებლობის შესახებ.

ქართულ საისტორიო მეცნიერებაში კარგად არის ცნობილი ს. ჯანაშიას გამოკვლევები, რომლებიც ქართველი ერის წარმოშობის საკითხებს აშუქებს. ამ მხრივ საკმარისია აღინიშნოს, რომ მარქსისტულ ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ მეოთხედი საუკუნის წინათ პირველად ს. ჯანაშიამ სცადა ეჩვენებინა ენობრივი, ტერიტორიისა და კულტურის ერთობის ჩამოყალიბების ხანგრძლივი ისტორიული პროცესი, მიეთითებინა, რომ ერის წარმოქმნის პროცესი საქართველოში ან საერთოდ კავკასიაში მხოლოდ XIX საუკუნის ფარგლებში არ მიმდინარეობდა; ეჩვენებინა, რომ ერთიანი ფეოდალური საქართველოს ჩამოყალიბების დროიდან ჩვენ უკვე ერთიან ქართულ ფეოდალურ კულტურაზე უნდა ვილაპარაკოთ, რომლის შექმნაში აქტიურად მონაწილეობდა ერთიანი საქართველოს მოსახლეობა; ეჩვენებინა, რომ წინაკაპიტალისტურ ხანაში ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ქართველთა ტერიტორიული ერთობის შესახებ, ს. ჯანაშიამ გვიჩვენა, რომ „უკვე მე-9 საუკუნეში, როგორც ქართლში ისე ტაო-კლარჯეთში, კახეთში და დასავლეთ საქართველოში ქართული ენა იყო მწიგნობრობის, სახელმწიფო მართვა-გამგეობის, სამოქალაქო ურთიერთობისა და ეკლესიის ერთადერთი ენა".

ამრიგად, ს. ჯანაშიას გამოკვლევის საფუძველზე რელიეფურად ისახება ქართველი ერის ჩამოყალიბების ხანგრძლივი ისტორიული პროცესი; კონკრეტული ხდება ამ პროცესის ისტორიული განვითარების შესახებ ცალკეული საფეხურის სურათი და კარგად ჩანს ერის დამახასიათებელ ნიშანთა თანდათან გამოკვეთის მანიშნებელი საფეხურები; ირკვევა ისტორიულ საფეხურებთან შესაბამისი ჩამოკვეთილობა ამ ნიშნებისა, ე. ი. ხარისხი თვით ერის წარმოქმნის სიმტკიცისა და ა. შ.

ს. ჯანაშიას სახელთან არის დაკავშირებული ქართული არქეოლოგიის, ენათმეცნიერებისა და ეთნოგრაფიის დაწინაურება 30-იან-40-იან წლებში.

მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა, აღმოჩენილი საქართველოს სხვადასხვა თემში პირველად იყო ასე ფართოდ გამოყენებული და განზოგადებული სიმონ ჯანაშიას ნაშრომებში. ამის ყველაზე მკაფიო მაგალითს საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო წარმოადგენს. სწორედ არქეოლოგიური კვლევა-ძიების ფართოდ გაშლის შედეგად მოპოვებულმა მასალამ შექმნა მტკიცე საფუძველი ერის ისტორიის უძველესი მონაკვეთის — გვაროვნული და მონათმფლობელური საზოგადოების ისტორიის ახლებური — მარქსისტული გაშუქებისათვის.

დიდია სიმონ ჯანაშიას, როგორც მეცნიერ-ორგანიზატორისა და ისტორიკოსთა ახალი თაობის გამომზრდელის როლი. იგი მთელ თავის ენერგიასა და ნიჭს ახმარდა ქართველთმცოდნეობითი სამეცნიერო ცენტრებისა და კადრების მომზადების საქმეს. სიმონ ჯანაშია იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი შემქმნელი, მან უდიდესი როლი შეასრულა ახლად დაარსებული აკადემიის მეცნიერულ-ორგანიზაციული ზრდა-განვითარების საქმეში.

ხალხის სახელოვანი შვილის დიდი მეცნიერული მოღვაწეობა, უბადლო ორგანიზატორული ნიჭი და თავდადება ღირსეულად შეაფასეს ქართველმა ხალხმა, საბჭოთა მთავრობამ და კომუნისტურმა პარტიამ. ს. ჯანაშია არჩეული იყო თბილისის საბჭოს, საქართველოს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოების დეპუტატად, დაჯილდოებული იყო ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით, მას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება და ორგზის სახელმწიფო პრემია.

სამშობლო, მადლიერი ქართველი ხალხი არასდროს არ დაივიწყებს შესანიშნავი მეცნიერის, დიდი საზოგადო მოღვაწის, ერის ღირსეული შვილის აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელს.

პროფ. შ. მესხია,
პროფ. ა. აფაქიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთაშორისო ცხოვრება

სამხრეთ ვიეტნამის ხალხის გადაწყვეტილება

ანოი, 16 ნოემბერი. (საკდესი). „დავა- ბთ ამერიკელი იმპერიალისტები, გა- ვისუფლოთ სამხრეთ ვიეტნამი, გადავაქ- თ იგი დამოუკიდებელ, დემოკრატიულ, დობიან, ნეიტრალურ ქვეყნად, მივაღ- თ სამშობლოს გაერთიანებას — ეს ჩვე- ბრძოლის უცვლელი მიზანია", — განაც- ა სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ვნული ფრონტის ცენტრალური კომიტე- პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნგუენ თხომ იაპონიის გაზეთ „ასახისათვის" მულ ინტერვიუში. სამხრეთი ვიეტნამის ონტის მეთაურმა აღნიშნა, რომ სამხ- ვიეტნამის მშვიდობის მთავარი პირობა ყოველგვარი პოლიტიკური მოწესრიგების ებელია ამერიკის შეერთებული შტატე- აგრესიული ომის შეწყვეტა, ჟენევის 54 წლის შეთანხმებების პატივისცემა, იკის შეერთებული შტატების სამხედრო ის ლიკვიდაცია, შეერთებული შტატე- და მათი სატელიტების მთელი ჯარის ანა და იარაღის გატანა სამხრეთ ვიეტ- იდან.

აგრესორები კვლავ ზრდიან ძალებს

აშინგტონი, 16 ნოემბერი. საკდესის რესპონდენტი ვ. პეტრუსენკო იტყო- ება:

ენტაგონი კვლავ ზრდის ძალებს სამ- ვიეტნამში. ამას ადასტურებს ახა- ცნობები იმ გეგმების შესახებ, რომ- ც წარსულ კვირას შეიმუშავეს იკის მთავრობის ხელმძღვანელთა თბირზე პრეზიდენტის ტეხასის რან- ში.

ურნალ „ტაიმის" უკანასკნელ ნომერ- აღნიშნულია, რომ წლის ბოლომდე იკის შეერთებული შტატების შეი- ბული ძალები სამხრეთ ვიეტნამ- 160.000-დან-200.000 ჯარისკაცსა და ცრამდე გაიზრდება, ხოლო მომავა- წლის გაზაფხულისათვის 250.000-

აშინგტონელი მიმომხილველი კ. ბრა- ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ტეხა- თათბირზე გადაწყვიტეს ზამთრისათ- ერთიორად გაზარდონ ამერიკის სამ- რო თვითმფრინავების რაოდენობა რეთ ვიეტნამში. მათი რიცხვი გაი- ება 1.300, ხოლო ვერტმფრენავები- — 1.400-ერთეულამდე. (საზღვაო თი ჯარისა და ფლოტის ჩაუთვლე-).

სსრ კავშირის მთავრობის დელეგაცია ავღანეთში

ჰერატი, 17 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტები ა. სტუპაკი და ა. პეტროვი გვატყობინებენ:

საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ტ. მაზუროვი, გუშინ საღამოს ჩამოვიდა ჰერატში. დელეგაციამ ხუთას კილომეტრზე მეტი გაიარა ავტომაგისტრალით, რომელიც აკავშირებს კანდაჰარსა და კუშკას. ამ მოგზაურობაში საბჭოთა დელეგაციას ახლდნენ ავღანეთის პრემიერ-მინისტრი მეივანდვალი, საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი ამმადულა, ავღანეთის ბევრი საზოგადო მოღვაწე, მათ შორის უხუცესთა ჯირგის (პარლამენტის ზედა პალატა) თავმჯდომარე ა. დავი, აგრეთვე გზის მშენებლობის უფროსი პოლკოვნიკი ჰაზეკ ხანი. ავტომაგისტრალის მშენებლობის მთავარი ინჟინერი ს. ვ. კოლდობსკი და სხვა ოფიციალური პირები.

მთელ გზაზე ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობა მხურვალედ ხვდებოდა საბჭოთა სტუმრებს, გამოხატავდა მეგობრულ გრძნობებს საბჭოთა კავშირისადმი იმ უანგარო დახმარებისათვის, რომელსაც ავღანეთს უწევს ეკონომიკის აღმავლობასა და განვითარებაში.

ფორაფრუდში შესვენების დროს საბჭოთა სტუმრებმა და ავღანეთის ხელმძღვანელებმა დაათვალიერეს საგზაო-საექსპლოატაციო კომპლექსი, თანამედროვე სასტუმრო, აგრეთვე საცხოვრებელი სახლები, რომლებიც აშენდა ავღანეთის ამ სულ ცოტა ხნის წინათ უდაბურ და მიყრუებულ ნაწილში.

ავღანეთის უძველეს დედაქალაქ ჰერატში სტუმრების შესახვედრად გამოვიდა ქალაქისა და ახლომახლო სოფლების ათასობით მცხოვრები.

გზის გასწვრივ აღმართულ მრავალ თაღზე გაკრულია პუშტუს და რუსულ ენებზე დაწერილი ლოზუნგები: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება", „დაე განმტკიცდეს ავღანეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა".

დელეგაციის რეზიდენციაში გაიმართა საზეიმო ცერემონია, რომლის დროს საბჭოთა კავშირის ორდენები და მედლები გადასცეს იმ პირებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს კუშკა-ჰერატ-კანდაჰარის ავტომაგისტრალის მშენებლობაზე.

კონტაქტების შემდგომი განვითარებისათვის

ანკარა, 17 ნოემბერი. (საკდესი). მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. თ. პრომისლოვმა, რომელიც აქ იმყოფება ანკარის მერის მოწვევით, გუშინ გამართა პრესკონფერენცია. მან დამსწრეთ გაუზიარა შთაბეჭდილებანი მოსკოვის საბჭოს დელეგაციის თურქეთში ყოფნის შესახებ, აგრეთვე ილაპარაკა მოსკოვის, მისი მეურნეობის, მისი პრობლემებისა და იმის შესახებ, თუ როგორ წყდება ეს პრობლემები.

ვ. თ. პრომისლოვმა ხაზი გაუსვა, რომ დელეგაციის ჩამოსვლის მთავარი მიზანია ორი სახელმწიფოს დედაქალაქების მეგობრობის განმტკიცება და აღნიშნა, რომ საჭიროა კონტაქტების კიდევ უფრო განვითარება. ურთიერთ კონტაქტები ჩვენი ქალაქების წარმომადგენლებს შორის, თქვა მან, გამოცდილებას გვმატებენ და ხელს უწყობენ ჩვენს წინაშე მდგომი პრობლემების გადაჭრას.

ყველგან, სადაც კი ვიყავით, აღნიშნა მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ, დიდი სტუმართმოყვარეობით გვხვდებოდნენ.

ანტიდემოკრატიული გადაწყვეტილება

ხართუმი, 16 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ სუდანის დამფუძნებელმა კრებამ მოიწონა მემარჯვენე პარტიების მიერ შეტანილი რეზოლუცია სუდანის კომუნისტური პარტიის საქმიანობის აკრძალვის შესახებ. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ცხარე კამათის შემდეგ, რომელიც 5 საათს გაგრძელდა.

სუდანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სამდივნოს წევრმა დეპუტატმა ომარ მუსტაფამ დამფუძნებელ კრებაზე გამოსვლისას განაცხადა, რომ „სუდანის კომუნისტური პარტია არ ცნობს ამ გადაწყვეტილებას, ვინაიდან დამფუძნებელი კრება არა კონსტიტუციურია".

„ამ გადაწყვეტილების შედეგად, — განაცხადა შემდეგ ომარ მუსტაფამ, — სუდანი ახალ სიძნელეებს წააწყდება. კომუნისტური პარტია კვლავ იარსებებს. არავითარ ძალას არ შეუძლია აიძულოს სუდანის კომუნისტური პარტია შეწყვიტოს საქმიანობა".

მდგომარეობა ინდონეზიაში

აკარტა, 16 ნოემბერი. (საკდესი). ონეზიის პარლამენტის თავმჯდომა- არუჯი კარტავინატამ დეპუტატის ლებამოსილება ჩამოართვა პარლამენ- კიდევ შვიდ წევრს. ამრიგად, „30 სე- მბრის მოძრაობაში" მონაწილეობის ლდებით პარლამენტიდან გარიცხეს 62 დეპუტატი, ანუ ყველა დეპუ- ის დაახლოებით 25 პროცენტი.

ოგორც ანტარას სააგენტო იუწყება, უკის კუნძულების სამხედრო ოლ- სარდალმა ბრიგადის გენერალმა ბუ- მ დროებით აკრძალა მოლუკის კუნ- ებზე ინდონეზიის კომუნისტური პა- ის, აგრეთვე მთელი რიგი მემარცხე- ორგანიზაციების საქმიანობა.

ბარის რაიონში (ცენტრალური იავა) შეიარაღების ძალებმა განახორციელეს დის ოპერაცია, რომლის დროს დაა- მრეს 315 კაცი. ანტარას სააგენტო ს იუწყება, აგრეთვე, რომ სამხრეთ ვესის პროვინციის ცენტრში ქალაქ რში 10 ნოემბრიდან შემოღებულია ენდანტის საათი.

ნიუ იორკი, 16 ნოემბერი. (საკდესი). ზიის შეიარაღებულ ძალებში სულ განხორციელდება წმენდა. რომლის არმიიდან დაითხოვენ იმ პირებს, ლებიც გარეული არიან „30 სექტემბ- მოძრაობაში". ამას იუწყება ჯაკარ- ან ასოშიეიტედ პრესის სააგენტ- ესპონდენტი.

სინგაპური. მდინარე სინგაპურზე სამპანი ნავები მილიონნახევრიანი ქალაქის მთელი რაიონია. სამპანებით მიაქვთ ტვირთები რეიდზე მდგომ გემებზე, ეზიდებიან ნედლეულს უახლოესი სამადნეებიდან და პლანტაციებიდან. სამპანებზე ადამიანები ცხოვრობენ, მუშაობენ და კვდებიან.

ფოტო ლ. პლეშაკოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

თურქეთის მშრომელთა ავანგარდი

დღეს შესრულდა 45 წელი თურქეთის კომუნისტური პარტიის დაარსების დღიდან. ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით „ფრანს ნუველმა" — საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალმა — გამოაქვეყნა სტატია თურქეთის კომუნისტების შესახებ. სტატიის შემოკლებულ თარგმანს ქვემოთ ვაქვეყნებთ.

◇ ◇

თურქეთის კომუნისტები იატაკქვეშეთის მძიმე პირობებში მუშაობენ. მშრომელი კლასების მიმართ თურქეთის ბურჟუაზია მუდამ ახორციელებდა რეაქციულ საშინაო პოლიტიკას. მიუხედავად ამისა, თვით 1930 წლამდე მას პროგრესული ანტიიმპერიალისტური პოზიცია ეჭირა საგარეო პოლიტიკაში. ამ პერიოდში კომპარტია მხარს უჭერდა ეროვნული ბურჟუაზიის პროგრესულ ღონისძიებებს და ამავე დროს განაგრძობდა ბრძოლას შემდეგი მიზნებისათვის: ეროვნული რევოლუციის გაღრმავებისათვის დემოკრატიულ საფუძველზე, მოპოვებული პოლიტიკური დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, თურქეთში იმპერიალიზმის ეკონომიური დასაყრდენების ლიკვიდაციისათვის, მშრომელთა, კერძოდ მუშათა კლასის იმ უფლების აღიარებისათვის, რომ გაერთიანდნენ თავიანთი ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესების დასაცავად, ძირეული აგრარული რეფორმისათვის — გლეხების მიწით უზრუნველყოფისათვის.

1930 წლის შემდეგ ეროვნული ბურჟუაზია დაუკავშირდა უცხოეთის მონოპოლიებს, შეცვალა თავისი პოლიტიკის მიმართულება და მთლიანად დაკარგა პროგრესულობის ყოველი ნიშანწყალი. ეროვნული რევოლუციის მონაპოვარნი საფრთხეში აღმოჩნდნენ, გაძლიერდა ანტიკომუნისტური ტერორი და დევნა, მაგრამ კომპარტია განაგრძობდა მთელი — როგორც ლეგალური, ისე არალეგალური — საშუალებებით ბრძოლას რეაქციული მთავრობის წინააღმდეგ, იმპერიალისტური გავლენის წინააღმდეგ, ხალხის ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესებისათვის, დემოკრატიისათვის.

მეორე მსოფლიო ომის წლებში კიდევ უფრო გაძლიერდა კომუნისტების დევნა თურქეთის მმართველი წრეების მხრივ, რომლებიც მორალურად და მატერიალურად უჭერდნენ მხარს ფაშისტურ გერმანიას. ამ პერიოდში კომპარტია მთელ თავის ღონისძიებებს წარმართავდა ფაშისტური პროპაგანდის წინააღმდეგ, ანტისაბჭოთა კამპანიის წინააღმდეგ, სპეკულანტების წინააღმდეგ, რომლებიც კიდევ უფრო აღრმავებდნენ ხალხის სილატაკესა და გაჭირვებას.

1945 წლის შემდეგ თურქეთის კომპარტიამ იმისათვის გამოიყენა თურქეთში დამყარებული შედარებითი თავისუფლება, რომ გაეჩაღებინა თავისი მოღვაწეობა ლეგალურ პოლიტიკურ ორგანიზაციებში. პარტია დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებდა პროფკავშირული მოძრაობის განვითარებაში, იყენებდა ლეგალური პრესის შესაძლებლობებს. მაგრამ დემოკრატიობანას თამაში, რომელსაც ბალაგანურად ეწეოდა რეაქციული მთავრობა, დიდხანს არ გაგრძელებულა.

1947-1951 წლებში პარტიამ ახალი ძალით გააჩაღა თავისი მოღვაწეობა. ტრუმენის დოქტრინისა და მარშალის გეგმის განხორციელებამ დასაწყისი მისცა თურქეთის პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობის ლიკვიდაციას, მის გადაქცევას იმპერიალისტური აგრესიული პოლიტიკის იარაღად.

ამავე წლებში რეაქციულმა მმართველმა წრეებმა კვლავ გააჩაღეს ანტიკომუნისტური კამპანია. მიუხედავად ამისა, კომპარტიამ შეაკავშირა თავისი რიგები, გააძლიერა თავისი აქტივობა ლეგალურ პროფკავშირებსა და ახალგაზრდობის ორგანიზაციებში, გააჩაღა დიდი მუშაობა კორეაში თურქეთის საექსპედიციო კორპუსის გაგზავნის წინააღმდეგ. აშკარად თუ ფარულად პარტია ცემდა გაზეთებს, ჟურნალებს, უშვებდა ბროშურებს, რომლებიც სისტემატურად ამხილებდნენ ამერიკული „დახმარების" ნამდვილ მიზნებს.

თავის აპოგეას ანტიკომუნისტურმა ისტერიამ და ტერორმა მიაღწია ბაიარ-მენდერესის მთავრობის დროს (1950-1960 წწ.). ეს რეაქციული მთავრობა ამზადებდა თურქეთის შესვლას ნატოში და ბრძოლის ყოველნაირ საშუალებებს მიმართავდა კომპარტიის წინააღმდეგ, რომელიც ახალი მოქმედებისათვის ემზადებოდა. 1951 წლის დამლევს თურქეთის კომუნისტებმა მძიმე დანაკლისი განიცადეს.

1960 წლის სამხედრო სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ პარტიის წინაშე გაიხსნა ლეგალური გზები იმისათვის, რომ თავისი მოღვაწეობა გაეშალა. მაგრამ ანტიკომუნისტური კანონები გაუქმებული არ იყო, ანტიკომუნისტური შეტევა არ შესუსტებულა. გრძელდებოდა იმპერიალისტური, ანტიკომუნისტური პროპაგანდა. ყოველივე ამის მიუხედავად, ახალი მოწინავე ძალები, დემოკრატები, მოსახლეობის სულ სხვადასხვა ფენების წარმომადგენლები თავიანთ საკუთარ ლოზუნგებად თვლიან პარტიის ლოზუნგებს. მუშათა კლასის, მოწინავე ინტელიგენციის წრეში, არმიის პატრიოტულად განწყობილ ნაწილში სულ უფრო და უფრო მეტ მომხრეს იძენს ის იდეა, რომ თურქეთი განვითარების მხოლოდ არაკაპიტალისტური გზით, მხოლოდ სოციალიზმის გზით შეძლებს თავი დააღწიოს სოციალურ და პოლიტიკურ კრიზისს, რომელშიც იგი აღმოჩნდა. დღეს კომპარტიის იდეებს სულ უფრო ფართო მასები იზიარებენ. იმპერიალისტებთან სამხედრო და ეკონომიური შეთანხმებანი ავბედითს როლს ასრულებენ თურქეთისათვის. პირიქით, თურქეთი სარგებლობას ნახავს, თუ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების შესაბამისად მეგობრულ ურთიერთობას დაამყარებს თავის დიდ მეზობლებთან — სსრ კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან. ეროვნული ბურჟუაზიის სხვადასხვა ფენებისათვის, რომლებიც დაკავშირებული არ არიან უცხოეთის კაპიტალთან, ახლა გასაგები ხდება ეს ჭეშმარიტებანი, და ისინი ერთგვარ ზეგავლენას ახდენენ მთავრობის წრეებზე.

თურქეთის კომპარტიამ ხელი მოაწერა, კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის 1957 და 1960 წლების თათბირების გადაწყვეტილებებს და იბრძვის საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განმტკიცებისათვის.

ანტისაბჭოთა პუბლიკაცია ჩინეთის პრესაში

პეკინი, 13. („პრავდის" საკ. კორ.). ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ ორგანოში — გაზეთ „ჟენმინ ჟიბაოში" და ჟურნალ „ხუნციში" მოთავსებულია ვრცელი სარედაქციო სტატია სათაურით „საკადრისი პასუხი სკკპ ახალი ხელმძღვანელობის ლათაიებზე „მოქმედების ერთიანობის" შესახებ".

გააფთრებული თავდასხმებითა და უხეში კილოთი სტატია გამოირჩევა სხვა ამგვარივე მასალების ფონზეც კი, რომლებიც რეგულარულად ქვეყნდება ჩინეთის პრესაში. სტატია მოწმობს, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა აშკარად ამბობს უარს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან და სხვა მარქსისტულ-ლენინურ პარტიებთან მოქმედების ერთიანობაზე მშვიდობისა და ხალხთა სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში, ვიეტნამში ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მშვიდობის შენარჩუნებისათვის, ახალი მსოფლიო ომის საფრთხის წინააღმდეგ სსრ კავშირის ბრძოლა სტატიაში ცილისმწამებლურად წარმოსახულია როგორც „რევიზიონიზმი", როგორც „ყოველგვარი ანტიიმპერიალისტური რევოლუციური ბრძოლის უარყოფა და ამ ბრძოლისათვის წინააღმდეგობის გაწევა".

სტატია შეიცავს მტკიცებას, თითქოს საბჭოთა კავშირი ...„შეუთანხმდა ამერიკის იმპერიალიზმს მსოფლიოზე ერთობლივად ბატონობისათვის". ამასთან ერთ-ერთ „დამადასტურებელ საბუთად" მოყვანილია ის, რომ საბჭოთა კავშირმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას სამ გარემოში ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ, რომელსაც, როგორც ცნობილია, მსოფლიოს 100-ზე მეტი ქვეყნის მთავრობები შეუერთდნენ. „ამერიკის შეერთებულ შტატებთან საბჭოთა კავშირის შეთანხმების" მეორე დადასტურებად „ჟენმინ ჟიბაო" და „ხუნცი" აცხადებენ საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებულ წინადადებებს, რომ საჭიროა დაიდოს ხელშეკრულება ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ, რომელიც ხელს შეუშლიდა ატომური იარაღის გადაცემას დასავლეთგერმანელ რევანშისტთა ხელში. მთელი ის დახმარება და მხარდაჭერა, რასაც საბჭოთა კავშირი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის თხოვნების, მასა და სსრ კავშირს შორის შეთანხმების სრული შესაბამისობით, უწევს ვიეტნამელი ხალხის ბრძოლას ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ, სტატიაში წარმოსახულია როგორც შეთანხმება ამერიკის იმპერიალიზმთან.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კურსი, რომლის მიზანია კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა, ხალხის კეთილდღეობის ამაღლება, ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარება, სოციალისტური ეკონომიკის ყველა რეზერვის გამოყენება, გამოცხადებულია საბჭოთა ხალხის „ბურჟუაზიული გადაგვარების" კურსად. ღონისძიებანი, რომლებსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა ახორციელებენ საკოლმეურნეო სოფლის საწარმოო ძალების განუხრელი ზრდის უზრუნველსაყოფად, კერძოდ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებანი, მოცემულია შემდეგნაირად: „სკკპ ახალი ხელმძღვანელობა აჩქარებს კაპიტალიზმის განვითარებას სოფლადაც. იგი ავითარებს კერძო მეურნეობას, ზრდის საკარმიდამო ნაკვეთების სიდიდეს, კერძო საკუთრებაში მყოფი პირუტყვის რაოდენობას. აფართოებს თავისუფალ ბაზარს და აქეზებს თავისუფალ ვაჭრობას" სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს სტატია კვალიფიკაციას აძლევს როგორც სსრ კავშირში „კაპიტალიზმის რესტავრაციას". ჩვენი პარტიის ხაზი სახელმწიფოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პრინციპების აღდგენისა, სოციალისტური დემოკრატიზმის განვითარებისა, მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის ყოველი ღონისძიებით გაშლისა წარმოსახულია როგორც „რევიზიონიზმი".

მაშინ როცა სკკპ და სხვა მარქსისტულ-ლენინური პარტიები გამოდიან ყველა კომუნისტური პარტიის მოქმედების ერთიანობისათვის საერთო მტრის —იმპერიალიზმის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის გაჩაღების მიზნით, და ამ საფუძველზე ცდილობენ მიაღწიონ კომუნისტური მოძრაობის რიგების შეკავშირებას, სტატიის ავტორები აცხადებენ, რომ ჩინეთის კომპარტიასა და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას შორის „არსებობს ის, რაც თიშავს, და არ არსებობს ის, რაც აერთიანებს, არსებობს ის, რაც უპირისპირებს, და არ არის ის, რაც საერთო იყოს", რომ ჩინეთის კომპარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოქმედების ერთიანობა შეუძლებელია, ვინაიდან ორივე პარტია „დიამეტრალურად საწინააღმდეგო პოზიციებზე" დგას.

პასუხად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სხვა მარქსისტულ-ლენინური პარტიების მოწოდებებისა უთანხმოების დაძლევის აუცილებლობის შესახებ სტატიაში გამოცხადებულია ერთი მხრივ ჩინეთის კომპარტიას და მის მომხრეებს და მეორე მხრივ— დანარჩენ კომუნისტურ და მუშათა პარტიებს შორის „პოლიტიკური და ორგანიზაციული გამიჯვნის" აუცილებლობა.

მთელი გამოსვლა თავიდან ბოლომდე გაჟღენთილია დაუშვებელი, სრულიად უსაფუძვლო ცილისმწამებლური, პროვოკაციული მონაჭორებით, გამსჭვალულია საბჭოთა ხალხისადმი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისადმი მტრობის სულისკვეთებით, მსოფლიოს მთელი ანტიიმპერიალისტური, პროგრესული ძალების შეკავშირების მისი პოლიტიკისადმი მტრობის სულისკვეთებით. ასეთი გამოსვლა, უეჭველია, უდიდეს ზიანს აყენებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის საერთო საქმეს — იმ საქმეს, რომლისთვისაც თავდადებულად იბრძვიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, სოციალისტური ქვეყნების მსოფლიო თანამეგობრობა, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა.

სმიტი ცდილობს გააძევოს ინგლისის გუბერნატორი

ლონდონი, 16 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ინგლისის გუბერნატორს სამხრეთ როდეზიაში გამოურთეს ტელეფონი. მისი სახლის წინ სულ დგანან პოლიციელები. რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს გიბსს შინაპატიმრობა დაუწესეს.

დღეს დილაადრიან სმიტის კაბინეტი შეიკრიბა სხდომაზე, რათა დასახოს საბოლოო ღონისძიებანი, რომ გააძევონ გიბსი თავისი ოფიციალური რეზიდენციიდან და საერთოდ სამხრეთ როდეზიიდან. კერძოდ. გიბსის სახლში, როგორც სამხრეთ როდეზიის გაზეთები იუწყებიან. შესაძლოა შეწყდეს წყლისა და ელექტროენერგიის მიწოდება.

ჯერჯერობით კი სმიტი მხოლოდ უგულებელყოფს გუბერნატორს. როცა კორესპონდენტებმა ჰკითხეს სმიტს, თუ რა ბედი ეწვევა მისი აზრით გუბერნატორს, სმიტმა უპასუხა: „რომელ გუბერნატორს? როდეზიაში არავითარი გუბერნატორი არ არის".

სერიოზული საფრთხის წინაშე

ფხენიანი, 16 ნოემბერი. (საკდესი). დღეს აქ გამოქვეყნდა კორეის სახალხო დემოკრატიული მთავრობის განცხადება იაპონიის პარლამენტის ქვედა პალატაში ეგრეთ წოდებული იაპონია-სამხრეთ კორეის ხელშეკრულების ამაწინანდელ რატიფიკაციასთან დაკავშირებით.

იაპონია-სამხრეთ კორეის ხელშეკრულების რატიფიკაცია, აღნიშნულია განცხადებაში, პროვოკაციული აქტია კორეისა და იაპონიის ხალხების, მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხთა მიმართ, რომლებიც მტკიცედ ილაშქრებენ ამ ხელშეკრულების წინააღმდეგ.

თუ იაპონია-სამხრეთ კორეის ხელშეკრულება განხორციელდება, ხაზგასმულია განცხადებაში, მთლიანად გათელილი იქნება კორეისა და იაპონიის ხალხთა ძირითადი ინტერესები, სერიოზული საფრთხე შეექმნება მშვიდობას აზიასა და მთელ მსოფლიოში.

კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, აღნიშნულია დასასრულ განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იაპონია-სამხრეთ კორეის ხელშეკრულებას, რომელიც უკანონოდ დაიდო სამხრეთ კორეის მარიონეტულ ხროვასთან ძალა არა აქვს და კორეელი ხალხი არ ცნობს ამ ხელშეკრულებას.

კომუნისტი

წარსულის ფურცლებიდან

„წითელი გუბერნატორი"

რევოლუციამდელი საქართველოს სოფლის მეურნეობის მოღვაწეთა შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სტაროსელსკის. იგი დიდი პოპულარობით სარგებლობდა საქართველოში. და თუ დღეს წარმატებით ვაგრძელებთ ქართული კულტურული მევენახეობის სახელოვან ტრადიციებს, ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის ვლ. სტაროსელსკის. მაგრამ ეს ამაგდარი აგრონომის მოღვაწეობის ერთი მხარეა. იგი აქტიურად მონაწილეობდა აგრეთვე ჩვენი ხალხის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ვლ. სტაროსელსკი დაიბადა 1860 წელს ჩერნიგოვის გუბერნიაში ღარიბი აზნაურის ოჯახში. იგი იყო შვილიშვილი დეკაბრისტ სტაროსელსკისა, რომელიც გარდაიცვალა საპატიმროდან განთავისუფლების მეორე დღესავე.

სტავროპოლის რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ვლ. სტაროსელსკი შედის პეტროვსკო-რაზუმოვსკის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში, რომელსაც წარმატებით ამთავრებს 1886 წელს.

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ვლ. სტაროსელსკი ინიშნება ჯერ შავი ზღვის სანაპირო ოლქის, შემდეგ კი ყიზლარის განყოფილების აგრონომად. 1889 წელს დასავლეთ საქართველოს ვენახებს ფართოდ მოედო ფილოქსერა. სტაროსელსკი გადაყვანილ იქნა ქუთაისის გუბერნიაში. კავკასიაში ფილოქსერის საწინააღმდეგო კომიტეტის დაარსების დღიდანვე იგი ამ კომიტეტის აქტიური და წამყვანი თანამშრომელი ხდება.

ვლ. სტაროსელსკის ნიჭი სწორედ ამ პერიოდში გაიფურჩქნა. ამ დროიდან დაიწყო მან ვენახის ავადმყოფობა-მავნებლების გულდასმით შესწავლა და წამლის გამონახვა.

1893 წელს რუსეთის მიწათმოქმედების სამინისტრომ საზღვარგარეთიდან მოიწვია უნგრელი მეცნიერი სპეციალისტები პროფესორი მარიანი და დოქტორი ორვარტი. ისინი ჩავიდნენ ზესტაფონში და დაათვალიერეს იქაური ვენახები. მათი დასკვნით, იმერეთში ვენახების ხსნა შეუძლებელი იყო და ამიტომ ისინი რჩევას იძლეოდნენ აეჩეხათ ვენახები და მათ ნაცვლად გაეშენებინათ სხვა კულტურები.

ამ მოსაზრებას მაშინ ზოგიერთი ჩვენი მეცნიერიც იზიარებდა. ვლ. სტაროსელსკიმ კი სასტიკად გაილაშქრა მათ წინააღმდეგ. მან სპეციალურად იმოგზაურა საფრანგეთის მევენახეობის რაიონებში. იქ შეისწავლა ფილოქსერის საწინააღმდეგო ღონისძიება — კულტურული ვაზის ფილოქსერაგამძლე ამერიკულ საძირეზე დამყნობა და საქართველოში დაბრუნებისთანავე ფართო პროპაგანდა გაშალა აღნიშნული ღონისძიების გამოსაყენებლად ჩვენს პირობებში.

ამ მიზნით საქარაში, ზესტაფონის ახლოს სტაროსელსკიმ დააარსა ამერიკული ვაზის სანერგე. აქვე მოაწყო მებაღე მუშების მოსამზადებელი სკოლა, სადაც მოსახლეობას ასწავლიდა ვაზის მყნობას ამერიკულ საძირეზე და ვენახის წამლობას ფილოქსერისა და ვაზის სხვა ავადმყოფობა-მავნებლების მოსასპობად.

დიდი მუშაობის შედეგად ვლ. სტაროსელსკიმ მიზანს მიაღწია. ხალხმა მისგან ისწავლა ვაზის მყნობა და მისი ახალი წესით მოვლა-გაშენება.

პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად ვლ. სტაროსელსკი თეორიული ხასიათის მუშაობასაც ეწეოდა. იგი ხშირად გამოდიოდა მიმზიდველი და ღრმაშინაარსიანი მოხსენებებით, აწყობდა კონსულტაციებს, წერდა სტატიებსა და წიგნებს. მის მიერ შედგენილი „მოკლე დარიგება ამერიკული ვაზის გაშენების შესახებ ქუთაისის გუბერნიაში" ქართულ ენაზე თარგმნა ცნობილმა აგრონომმა ივანე ანდრონიკაშვილმა. ეს დარიგება მრავალჯერ გამოიცა.

1905 წლის რევოლუციის აღმავლობის პერიოდში მეფის მთავრობამ სცადა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა ხალხში სტაროსელსკის გავლენა და პოპულარობა. ამ მიზნით იგი დანიშნულ იქნა ქუთაისის გუბერნატორად. ამით მეფეს სურდა გამოეყენებინა ხალხის ნდობა და შეესუსტებინა რევოლუციური მოძრაობა.

მაგრამ მეფის ხელისუფლება მოტყუვდა. სტაროსელსკიმ აშკარად დაუჭირა მხარი უსამართლობის წინააღმდეგ აღმდგარ ხალხს. მან ციხეებიდან გაათავისუფლა პოლიტიკური პატიმრები და პასუხისგებაში მისცა მეფის მოხელეები, მოითხოვა კაზაკების გაყვანა ქუთაისის გუბერნიიდან.

„...სამართალში მივეცი, — წერდა ვლ. სტაროსელსკი,—რამდენიმე კაცი, ორი პოლიციის სტრაჟნიკი იმისათვის, რომ ს. ღვანკითში, შორაპნის მაზრაში სხვისი ჩაგონებით გლეხთა ყრილობას თოფს ესროდნენ, რის შედეგი იყო დახოცილები და დაჭრილები, ერთი მაზრის უფროსი (ქვამოვი) და ორი პოლიციის პრისტავი ხელისუფლების გადაჭარბებისა და ხალხის ცემისათვის".

ქუთაისის ბაღში სტრაჟნიკები მოქალაქეებს უხეშად მოექცნენ და დააპატიმრეს იმისათვის, რომ ისინი იქვე ნაპოვნ პროკლამაციებს კითხულობდნენ. „გავიგე თუ არა ეს,— წერს ვლ. სტაროსელსკი აღნიშნულის შესახებ, — დაპატიმრებულნი გავათავისუფლე და სტრაჟნიკები დავაპატიმრე".

ვლ. სტაროსელსკი ხუთ თვეს იყო გუბერნატორად. ეს პერიოდი ხალხთა დიდი მღელვარებით ხასიათდებოდა. ასეთ კრიტიკულ დროს იგი უმცველებოდ დადიოდა გუბერნიის სოფლებსა და დაბებში. სოფლელებს ესაუბრებოდა ტკბილად, გულისხმიერად და მამაშვილურად მათთვის საინტერესო საკითხებზე. ხალხი მას ოვაციას უმართავდა, „წითელ გუბერნატორს" უწოდებდა.

ცნობამ ქუთაისის გუბერნიაში სამხედრო წესების შემოღებისა და დამსჯელი რაზმების გაგზავნის შესახებ ხალხში დიდი მღელვარება გამოიწვია. აჯანყებულთა დელეგატებმა ვლ. სტაროსელსკის სთხოვეს მიეღო ზომები მოსალოდნელი უბედურების თავიდან ასაცილებლად.



ვლ. სტაროსელსკი ქუთაისიდან თბილისში გაემგზავრა რევოლუციონერების მიერ შეთავაზებული საგანგებო მატარებლით. მას აცილებდნენ რკინიგზის ყველა განყოფილების დელეგატები. ისინი მეორე ვაგონის ფანჯრებთან იდგნენ და ნიშნებით ელაპარაკებოდნენ გზის დარაჯებს გზის მდგომარეობისა და მატარებლის თავისუფლად გაშვების შესახებ. მხოლოდ ასეთი მატარებლით შეიძლებოდა იმ დროს თბილისში უვნებლად ჩასვლა.

მეფის ნაცვალი კავკასიაში გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი შეპირდა ვლ. სტაროსელსკის, რომ გაგზავნილ ჯარებს დაუყოვნებლივ დააბრუნებდა და გააუქმებდა სამხედრო წესებს ქუთაისის გუბერნიაში.

სხდომა, რომელზეც გაუქმებულ იქნა ქუთაისის გუბერნიაში, აგრეთვე ქართლში სამხედრო წესები, 2 ნოემბერს ღამის 11 საათზე დამთავრდა. ამ დროისათვის ვლ. სტაროსელსკის სასტუმროში უცდიდნენ პრესის წარმომადგენლები, მუშათა დეპუტატები და სხვა დაინტერესებული პირები. ისინი მას ულოცავდნენ გამარჯვებას და მადლობას უხდიდნენ ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვის გამო.

სამ ნოემბერს დილით რკინიგზის მუშები დეპოსა და სახელოსნოების მოსამსახურეები, აგრეთვე თბილისის ფაბრიკა-ქარხნების მუშები — სულ 10 ათასამდე კაცი მივიდა ვლ. სტაროსელსკის გასაცილებლად. თბილისის რკინიგზის სადგურზე უკრავდა რკინიგზის მუშათა ორკესტრი და მღეროდა გუნდი. ორატორთა მხურვალე, გულწრფელ სიტყვებს ხალხი „ვაშას" ძახილით მიესალმებოდა. მატარებელი ნელა დაიძრა.

ვლ. სტაროსელსკის ასეთივე შეხვედრა მოუწყვეს ხაშურსა და ზესტაფონში. გორის სადგური ჯარისკაცებით იყო სავსე. ამიტომ უსიამოვნების თავიდან აცილების მიზნით გორელებმა ვლ. სტაროსელსკის შესახვედრად მხოლოდ დელეგატები გაგზავნეს.

მატარებელს, რომელსაც ვლ. სტაროსელსკი მიჰყავდა, ქუთაისის გუბერნიაში ღამით მოუხდა გავლა. სადგურები მაშხალებით იყო განათებული. ბაქნებზე სადღესასწაულოდ გამოწყობილი ხალხი იდგა და გულწრფელი სიტყვებით მიესალმებოდა კეთილ გუბერნატორს.

მაგრამ ეს დროებითი მოვლენა აღმოჩნდა. 1906 წლის 5 იანვრის თარიღით კვლავ გამოცემულ იქნა ბრძანება ქუთაისის გუბერნიაში სამხედრო წესების შემოღებისა და დამსჯელი ექსპედიციის ხელმძღვანელად გენერალ ალიხანოვ-ავარსკის დანიშვნის შესახებ, ვლ. სტაროსელსკი კი გაწვეულ იქნა თბილისში. იგი გაემგზავრა ჟანდარმთა ოფიცრის ზედამხედველობით. მას როგორც ტყვეს არ შეეძლო სადგურზე გამოჩენა და მოქალაქეებთან საუბარი. თბილისშიც მას უთვალთვალებდა 4 გადაცმული პოლიციის აგენტი, 2 „ოკოლოდოჩნიკი" და 3 გოროდოვოი. ისინი დარაჯობდნენ მეზობელი ოთახიდან, სასტუმროს დერეფანში და შესასვლელში.

ამ მდგომარეობას სტაროსელსკიმ მალე დააღწია თავი, დაიწყო არალეგალური ცხოვრება, გაემგზავრა ჩრდილოეთ კავკასიაში და იქ შევიდა ბოლშევიკურ პარტიაში. შემდეგ იძულებული შეიქნა სამუდამოდ დაეტოვებინა სამშობლო. გაიქცა საზღვარგარეთ, ცხოვრობდა პარიზში ე. წ. „გარიბალდის ბულვარის" უბანში.

ჩვენი თანამემამულის აგრონომ კოტე ბერკაცაშვილის გადმოცემით მას პარიზში ეჭირა მხოლოდ ერთი ოთახი, რომელსაც მარქსის სურათი და მრავალი წიგნი ამშვენებდა.

„თქვენ გმირი ხართ", უთხრა ვლ. სტაროსელსკის ჟან ჟორესმა.

„არა, — უპასუხა მან, — მე გმირი არა ვარ, მხოლოდ დიდი ხანია ვხედავდი, რომ აჯანყება უნდა დაწყებულიყო დაჩაგრულ ქვეყანაში და უბრალო სამართლიანობა მოითხოვდა დავმდგარიყავი დაჩაგრულთა მხარეზე".

„დიახ, — კვლავ უთხრა მას ჟორესმა, — მე მესმის ეს, მაგრამ ჩვენი პრეფექტები მაგისთანა ნაბიჯს არასოდეს არ გადადგამენ, ისინი უწინარეს ყოვლისა თავიანთ კარიერას იცავენ".

ემიგრანტობის პერიოდში ვლ. სტაროსელსკიმ დაწერა საყურადღებო ნაშრომი „გლეხთა მოძრაობა ქუთაისის გუბერნიაში", მასში მოთხრობილია მასთან დაკავშირებული მოვლენები ქუთაისის გუბერნატორად ყოფნის დროს. ეს ნაშრომი უაღრესად დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია 1905 წლის რევოლუციის ისტორიისათვის.

ვლ. სტაროსელსკიმ გულით შეიყვარა ქართველი ხალხი, კარგად შეისწავლა ქართული ენა. იგი ქართველ გლეხებს მშობლიურ ენაზე ესაუბრებოდა.

„მინდა, — წერდა იგი უკანასკნელად თავისიანებს, — ჩემი შვილები აღიზარდონ საქართველოში, რომ ისწავლონ მუშაობა, განაგრძონ ჩემი საქმე საქართველოს პროლეტარმცხოვრებთა კულტურულ-ეკონომიური პირობების გასაუმჯობესებლად".

ვლ. სტაროსელსკი გარდაიცვალა პარიზში 1916 წლის 26 აგვისტოს. მისი ცხედარი მრავალმა მუშამ და პოლიტიკურმა მოღვაწემ გააცილა კომუნარების სასაფლაოზე. გვირგვინებზე იყო წარწერები: „მოქალაქეს, პროლეტართა საქმისათვის მებრძოლს", „პატრონს — მადლიერი საქართველოსაგან".

შესანიშნავი საზოგადო მოღვაწის, გამოჩენილი აგრონომისა და რევოლუციონერის გარდაცვალებას ფართოდ გამოეხმაურა საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების სოციალისტური პრესა. განსაკუთრებული გულისტკივილით აღინიშნა იგი საქართველოში. იმ დროის თითქმის ყველა ჟურნალმა და გაზეთმა მიუძღვნა მის ხსოვნას გულთბილი წერილი.

ვლ. სტაროსელსკის სახელი უკვდავია. მას არასოდეს არ დაივიწყებს ჩვენი ხალხი.

გრ. თოდუა.

ზეიმი აეროპორტში

ბათუმი. (საქ. კორ.). — ვიყოთ მოწინავეთა შორის მოწინავე! — ასეთი იყო ბათუმის აეროპორტის კოლექტივის ერთსულოვანი გადაწყვეტილება, როცა იგი საქართველოს აეროპორტთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება. ბათუმელმა აეროპორტელებმა თავდადებით იშრომეს და მესამე კვარტალის დავალება პირნათლად გაანაღდეს, ამავე დროს შვიდწლედით გათვალისწინებული გეგმა 1 ნოემბრისათვის შეასრულეს.

ამას წინათ ბათუმის აეროპორტში დიდი ზეიმი ჰქონდათ. სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის საქართველოს სამმართველომ მესამე კვარტალის ყველაზე მაღალი მაჩვენებლებისათვის ბათუმის აეროპორტის კოლექტივს გარდამავალი წითელი დროშა მიაკუთვნა.

ახალი წიგნები

გვთავაზობს გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება"

გ. ფლობერი — „სანტიმენტალური აღზრდა", თარგმანი ფრანგულიდან არ. ჭუმბაძისა, რედაქტორი გრ. ჩიქოვანი, ტირაჟი 30.000, გვ. 480, ფასი 1 მან. და 41 კაპ.

„დამაკვირდი" — „ივერიიდან" ამოკრეფილი აფორიზმებისა და სენტენციების კრებული, შეადგინა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ა. სიგუამ. რედაქტორი ც. ჩხეიძე, ტირაჟი 30.000, გვ. 184, ფასი 19 კაპ.

ჰ. ჩერნი — „ნექტარინა" — რომანი. თარგმანი ვალერიან გუნიასი. რედაქტორი გ. სიდამონიძე. ტირაჟი 7.000. გვ. 108, ფასი 12 კაპ.

ჯ. ჩარკვიანი — „ფერადი მერიდიანები" — ლექსები. რედაქტორი მ. ფოცხიშვილი. ტირაჟი 2.000, გვ. 108, ფასი 19 კაპ.

ი. თარბა — „მთიდან მთაზე" — ლექსები. რედაქტორი მ. ფოცხიშვილი. ტირაჟი 2.000, გვ. 94, ფასი 19 კაპ.

ტ. ჭანტურია — „საქანელა" — ლექსები. რედაქტორი ა. ადამია. ტირაჟი 2.000, გვ. 56, ფასი 13 კაპ.

თბილისი. ვაჟა-ფშაველას პროსპექტის ერთ-ერთი კუთხე.

ფოტო ს. კილაძისა.

მ. ტალი თუ ბ. სპასკი?

საჭადრაკო ალლუმი

სპასკი-ტალის მატჩის ბედი პირველი „ტაიმის" შემდეგ კვლავ ბურუსითაა მოცული. ორთაბრძოლის ნახევარმა დაადასტურა, რომ სპასკის ისევე უჭირს ტალთან მოგება, როგორც ტალს — სპასკისთან.

დიდი საჭადრაკო ზეიმი დაამშვენა მსოფლიოს ჩემპიონ **ტიგრან პეტროსიანის** თბილისში ჩამოსვლამ. რა თქმა უნდა, იგი მეშვიდე პარტიის სანახავად მოვიდა. გუშინ მაყურებლები კი იშვიათი ამბის მომსწრენი გახდნენ: რუსთაველის თეატრში ნამდვილი საჭადრაკო ალლუმი გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ ჭადრაკის დედოფალი **ნონა გაფრინდაშვილი**, საჭადრაკო სამყაროს მთავარსარდალი **ტიგრან პეტროსიანი** და ორივე პრეტენდენტი. გარდა ამისა, გუშინ მოსკოვიდან ჩამოფრინდნენ რუსეთის საჭადრაკო ფედერაციის მდივანი **ვერა ტიხომიროვა** და გროსმაისტერი **იური ავერბახი**, რომელიც საკავშირო საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე და ჟურნალ „შახმატი ვ სსსრ"-ის რედაქტორია.

პეტროსიანი მატჩზე ჩამოვიდა არა როგორც გამომცდელი (ამას კი რამდენიმე თვის შემდეგ გააკეთებს), არამედ როგორც მეთვალყურე. საჭიროა უშუალოდ გაეცნო მომავალი მეტოქის თამაშს. მისი მატჩზე ჩამოსვლა ეტყობა ერთ-ერთი ეტაპია პრეტენდენტთან შესახვედრად მზადების საქმეში. გარდა ამისა თბილისში ყოფნაც ხომ მეტად სასიამოვნოა! კარგია, რომ მსოფლიოს ჩემპიონი თბილისში ჩამოვიდა. ახლა იგი სამუშაოს გაუადვილებს ყველა დანარჩენ ექსპერტს. თბილისელი გულშემატკივრები ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხის გადასაწყვეტად პირდაპირ კომპეტენტურ და ავტორიტეტულ სპეციალისტს მიმართავენ.

როდესაც პეტროსიანი ექვსის ნახევარზე დარბაზში მოვიდა, მას შეეძლო გაეკეთებინა პირველი დასკვნა: მომავალში ჩემპიონს საქმე ექნება მეტად „ჭიუტ" და პრინციპულ მეტოქესთან. დაფაზე იგივე პოზიცია შეიქმნა, რაც მეხუთე პარტიაში 18 სვლის შემდეგ. ტალმა უკვე მეოთხედ დაიწყო თამაში მეფის პაიკით და სპასკიმ მესამედ აირჩია მარშალის იერიში. ტალი აშკარად ჩააფიქრა იმ ამბავმა, თუ როგორ უნდა აალებინოს მეტოქეს ხელი მარშალის იერიშზე. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ის ვარიანტი, რომელიც გუშინდელ შეხვედრაში იქნა გამოყენებული, შარშან შეგვხვდა ამავე მეტოქეებს შორის, ოღონდ ელვისებურ პარტიაში.

პირველად მე-5 პარტიაში შექმნილ გაგრძელებას გადაუხვია სპასკიმ. აქამდე კი მეტოქეები მეტად სწრაფად თამაშობდნენ. გულშემატკივრები უკმაყოფილონი არიან: როგორ შეიძლება ამდენი ყაიმი გაკეთდეს ზედიზედ. მაგრამ არაა საჭირო ეინშტეინი იყო, რათა იცოდე, რომ რაც მეტია ყაიმების სერია, მით უფრო მოსალოდნელია ერთ-ერთი მხარის გადამწყვეტი გამარჯვება.

ტალმა მეტოქეს პაიკი დაუბრუნა მაგრამ სახიფათო კუ გაუცვალა. 21-ე სვლაზე მეტოქეებმა 40-40 წუთი იფიქრეს. ეს იყო ყველაზე უფრო მწვავე მომენტი, მაგრამ სპასკიმ თავი აარიდა გართულებებს. ლაზიერების გაცვლის შემდეგ პარტია ენდშპილში გადავიდა, რომელიც რამდენადმე უფრო სიმპატიური იყო ტალისათვის. მაგრამ სპასკისაც თავისი თამაში ჰქონდა. იგი ეტლით შეიჭრა მეორე ხაზზე, აქ თავისი როლი ითამაშა მცირე ცაიტნოტმაც. ტალმა მეტოქეს ყაიმი შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო: სპასკის სურს ცოტა კიდევ ითამაშოს.

პარტია გადაიდო და ეტყობა ყაიმით დამთავრდება.

სალო ფლორი,
მატჩის მთავარი არბიტრი.

მ. ტალი — ბ. სპასკი

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 მf6 5. 0—0 კe7 6. ეe1 b5 7. კb3 0-0 8. c3 d5 9. ed მ:d5 10. მ:e5 მ:e5 11. ე:e5 c6 12. კ:d5 cd 13. d4 კd6 14. ეe3 ლh4 15. h3 ლf4 16. ეe5 ლf6 17. ეe1 ლg6 18. ლf3 კe6 19. კf4 კ:f4 20. ლ:f4 კ:h3 21. ლg3 ლ:g3 22. fg კf5 23. მd2 ეfe8 24. მb3 მფf8 25. მc5 a5 26. ე:e8+ ე:e8 27. a4 ba 28. ე:a4 ეe2 29. b4 ab 30. cb ეb2 31. ეa8+ მფe7 32. ეb8 ეd2 33. ეb7+ მფd6 34. ე:f7 კg6 35. ეa7 მფc6 36. მe6 კe4 37. ე:g7 ე:g2+ 38. მფf1 ეb2 39. მd8+ მფb5 40. ეc7 ეd2 41. მფe1 ეg2.

პარტია გადაიდო ასეთ პოზიციაში:



თეთრები ტალი მფe1 ეc7, მd8, პ-ბი b4, d4, g3.

შავები სპასკი მფb5, ეg2, კe4, პ-ბი d5, h7. ჩაწერილია თეთრების 42-ე სვლა.

ჩემპიონატის ფინიში

დამთავრდა საქართველოს 1965 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში პირველი ჯგუფის გუნდებისათვის. აქ 17 კოლექტივი ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას. შეჯიბრება ორ წრედ მოეწყო.

ფინიშთან საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლა მიმდინარეობდა თბილისის „თოლიას", გორის „დილასა" და ქობულეთის „შუქურას" შორის. ჩემპიონი გახდა „თოლია", რომელმაც 32 თამაშიდან 42 ქულა შეაგროვა (15 მოგება, 12 ფრე, 5 წაგება, ბურთების სხვაობა 36-32).

ჩემპიონს ორი ქულით ჩამორჩა და მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა გორის „დილამ". მესამე იყო ქობულეთის „შუქურა". აღსანიშნავია, რომ ქობულეთელებს ყველაზე მეტი ბურთი (58) აქვთ გატანილი, საკუთარ კარში კი ყველაზე ნაკლები ბურთი (24) მიიღეს გორის „დილას" ფეხბურთელებმა.

კომუნისტი
სპორტი

როუზი რეფორმას სთავაზობს

ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მონაწილე შერჩევის ახლანდელი სისტემა, სამართლი საყვედურს იწვევს. კრიტიკის მთავარი სა ნია აფრიკისა და აზიის კონტინენტებ ფეხბურთელთა დისკრიმინაცია, რომლე საც ავსტრალიელებთან ერთად მეთქვსმე ტე ტურნირზე მხოლოდ ერთი საგზური აქ გამოყოფილი. შემთხვევითი როდია, რ პროტესტის ნიშნად მთელმა აფრიკამ აზიის მეტმა წილმა ქვეყანამ უარი თქ მონაწილეობა მიიღონ წლევანდელ მსო ლიოს პირველობაში.

ფეხბურთის მსოფლიოს ფედერაციის პო ზიციის ფართო კრიტიკამ, როგორც ჩან აიძულა მისი პრეზიდენტი სტენლი როუ წამოეყენებინა წინადადება რეფორმის შ სახებ, რასაც იგი შეეხო ტუნისის გაზ „ლე-სპორის" კორესპონდენტისათვის მი მულ ინტერვიუში.

სტენლი როუზი წინადადებას იძლ 1970 წლის პირველობის მოწყობისას წ ნასწარი ჯგუფები შექმნან არა ერთი კ ტინენტის გუნდებიდან, როგორც ეს ახ არის, არამედ სხვადასხვა კონტინენტის გ ნდებიდან. ეს სიახლე, როგორც პრეზ დენტს მიაჩნია უფრო სამართლიანი იქ ბა და შესაძლებელს გახდის ტურნირში ფ რთო მონაწილეობა მიიღონ აფრიკისა აზიის განვითარებადი ქვეყნების გუნდებმ

სტენლი როუზის წინადადებას განიხ ლავს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერა ის 1968 წლის კონგრესი.

(საკდესი).

სპორტული ქრონიკა

☐ **ბაქოსა** და კიროვაბადში გრძელდება რესპუბლიკების „ბ" კლასის უძლიერესი გუნდების ასპარეზობა ფეხბურთში „ა" კლასის მეორე ჯგუფში გადასასვლელად. ნახევარფინალის მორიგ ტურში სოხუმის დინამოელები ბაქოში დამარცხდნენ ადგილობრივ თანაკლუბელებთან ანგარიშით 0:4, ჯამბულის „მეტალურგმა" წააგო ლენინაბადის „პამირთან" 0:2.

☐ **ჩვენი** ქვეყნის უძლიერეს ტანმოვარჯიშეებს, რომელთა საერთო რიცხვი ოთხასს აღემატება, მოსკოვის სპორტის სასახლეში პაექრობა ექნებათ სსრ კავშირის პირად-გუნდურ პირველობაზე. ეს შეჯიბრება 22 ნოემბერს დაიწყება და ხუთ დღეს გაგრძელდება. ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებენ **ბ. შახლინი, ი. ტიტოვი, პ. ასტახოვა, ნ. კუჩინსკაია, ლ. პეტრიკი** და სხვ.

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გად ვუხადო ყველა იმ ამხანაგს, მეგობა მწერალს, დაწესებულებასა და ორგა ნიზაციას, რომლებმაც მომილოც დაბადების 60 წლისთავი და შრომ წითელი დროშის ორდენით დაჯილდ ება.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

მოძმე ხალხები ერთმანეთს მოუსმენენ

რადიოხიდი ბულგარეთი-საქართველო

◆



„გინახავთ, თუ როგორ ილეწება კარიერაუისას ვარდისფრად სწრაფი ვივი მდინარეების წყალი, ზემოდან გინახავთ თვალისმომჭრელი სიმწვანე ალაზნის ველისა, პოეტები რომ უმღერიან. მოგისმენიათ შავი ზღვის სუნთქვა? ეს საქართველოა — უხვი მზისა და მწვერვალების მხარე, დიდი ისტორიისა და ნათელი მომავლის ქვეყანა"...

ამ სიტყვებით დაიწყება დღეს, 18 ნოემბერს, საქართველოს რადიოფესტივალი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში.

თითქმის ამავე დროს რესპუბლიკურ ეთერში აჟღერდება ბულგარეთის რადიოს მოხმობის ნიშანი. მოძმე ხალხები, რომლებსაც მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა აკავშირებთ, მოუსმენენ ერთმანეთს, მოაწყობენ წარმტაც „რადიო-მოგზაურობას" შორეულ წარსულში, გაეცნობიან ჩვენი დღეების ცხოვრებას, ერთმანეთს გაუზიარებენ თავიანთ მისწრაფებებს, მიზნებს.

ვრცელი და მრავალფეროვანია გადაცემები, რომლებიც საქართველოსა და ბულგარეთის რადიოს საერთაშორისო გადაცემათა რედაქციებმა მოამზადეს საზოგადოება „სსრ კავშირი-ბულგარეთის" რესპუბლიკური განყოფილების მონაწილეობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ს. ძოწენიძე ბულგარელ რადიომსმენელებს ესაუბრება საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაზე. ბულგარელი რადიომსმენელები „იმოგზაურებენ" თბილისში, ქართველ მეტალურგთა და ქიმიკოსთა ქალაქ რუსთავში, ინგურჰესის კაშხალის 300-მეტრიანი თაღის მშენებლობაზე, რომელიც ყველაზე მაღალი იქნება მსოფლიოში. „ეწვევიან" ალაზნის ველის უხვი მოსავლის ოსტატებს. ისინი შეიტყობენ, თუ როგორ გარდაქმნეს საბჭოთა ადამიანებმა თავიანთი შრომით აყვავებულ ბაღად კოლხეთის ოდესღაც ჭაობიანი მიწები.

მიკროფონთან გამოვლენ საქართველოს მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები. აკადემიკოსი ვ. მახალდიანი ბულგარელ რადიომსმენელებს გააცნობს სოფლის მეურნეობის ტექნიკურ სიახლეებს. შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის იუბილეს მიუძღვნის თავის გამოსვლას აკადემიკოსი ა. ბარამიძე. ბულგარელი და ქართველი ხალხების მეგობრობასა და კულტურულ ურთიერთობაზე ილაპარაკებს პუბლიცისტი თამარ მახარაძე.

დღეს მთელი დღე მეგობართა ეთერში არ შეწყდება ქართული მუსიკის მელოდიები, გადაცემულ იქნება აგრეთვე ქართველ მწერალთა მოთხრობები, ლექსები.

არანაკლებ საინტერესო პროგრამა მოამზადეს ბულგარელმა ჟურნალისტებმაც. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მოისმენენ მოთხრობას ბულგარელ და ქართველ რკინიგზელთა მეგობრობისა და შეჯიბრების შესახებ, მოგზაურის ჩანაწერებს ბაჩკოვოს მონასტერზე, რომელიც ქართველებმა ააგეს, გაეცნობიან ბულგარელი ხალხის ლიტერატურასა და ხელოვნებას.

დისერტაციების დაცვა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1965 წლის 8 დეკემბერს დღის 12 საათზე № 18 აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პროსპ. № 8) ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **გიორგი ერეკლეს ძე აბაშიძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„კიტა აბაშიძის ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა".**

10 დეკემბერს დღის 12 საათზე № 107 აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 1) ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ტრისტან გრიგოლის ძე ლაბარტყავა** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „რევოლუციური მოძრაობა ჯარის ნაწილებში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის საქართველოში (1917-1921 წწ.)".

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტი

აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1965-66 სასწავლო წლისათვის დაუსწრებელი ზოოტექნიკური და ვეტერინარული ფაკულტეტის ქართულ და რუსულ სექტორებზე

ინსტიტუტში შესვლის მსურველებმა რექტორის სახელზე უნდა შეიტანონ განცხადება (სპეციალობის ჩვენებით), რომელსაც უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1) საბუთი საშუალო განათლების შესახებ (დედანი), 2) ცნობა სამუშაო ადგილიდან თანამდებობის და სტაჟის აღნიშვნით, შემოწმებული წარმოების ხელმძღვანელის ან კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მიერ, 3) დახასიათება, გაცემული სამუშაო ადგილიდან ინსტიტუტში შესასვლელად, 4) ავტობიოგრაფია, 5) სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), 6) ოთხი ცალი ფოტოსურათი, გადაღებული უქუდოდ (3×4 სმ.), 7) ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 8) პასპორტი (აღგენენ პირადად).

ინსტიტუტში უგამოცდოდ ჩაირიცხებიან დიდი სამამულო ომის მონაწილენი, რომელთაც აქვთ საშუალო სკოლის ფრიადოსნობის ატესტატი ან რომლებიც საშუალო სკოლის დამთავრებისას დაჯილდოებულნი არიან ოქროს (ან ვერცხლის) მედლით, ან რომლებმაც დაამთავრეს საშუალო სპეციალური სასწავლებელი წარჩინების დიპლომით.

დანარჩენ შემსვლელთათვის მოეწყობა მისაღები გამოცდები.

ქართულ სექტორზე შემსვლელები მისაღებ გამოცდებს აბარებენ ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), ფიზიკასა და ქიმიაში (ზეპირი).

რუსულ სექტორზე შემსვლელები — რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), ფიზიკასა და ქიმიაში (ზეპირი).

ოქროს (ვერცხლის) მედლით საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, ანდა საშუალო სპეციალურ სასწავლებელდამთავრებულნი, რომელთაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, გამოცდას აბარებენ მხოლოდ დადგენილ ერთ-ერთ მაპროფილებელ საგანში, უმაღლესი სასწავლებლის შეხედულებისამებრ. ამ საგანში გამოცდის „ფრიად" ნიშანზე ჩაბარების შემთხვევაში ისინი თავისუფლდებიან სხვა საგნების ჩაბარებისაგან, ხოლო „კარგი" ან „დამაკმაყოფილებელი" ნიშნის მიღებისას აბარებენ გამოცდებს სხვა საგნებშიც.

საბუთები მიიღება მიმდინარე წლის 30 დეკემბრამდე ყოველდღე, გარდა კვირადღისა, 12-დან 3 საათამდე.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1966 წლის 5 იანვრიდან.

შენიშვნა: ვეტერინარულ ფაკულტეტზე მიიღება იმ პირთა განცხადებები, რომელთაც დამთავრებული აქვთ ვეტტექნიკუმი და მუშაობენ სპეციალობის მიხედვით.

ინსტიტუტის მისამართი: კრწანისი, საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტი.

ავტობუსი № 23.

თეატრები

18 ნოემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დაისი (მე-15 აბონ. მე-9 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის** — სიბრძნე სიცრუისა (მე-7 და გაცდენილი აბონემენტები), **მარჯანიშვილის სახელობის** — მედეა (მე-9 აბონ. მე-9 წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** — მოწინააღმდეგის მხარეზე გადასული, **ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — შესანიშნავი სამეული, **სანკულტურის თეატრი** — როგორ მოვხვდი საგიჟეთში, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — შაითან ხიხო (აბონ. № 58), **თოჯინების თეატრი** (პლეხანოვის სახელობის კლუბში) გულადი ღიღველა.

ტელევიზია

18 ნოემბერი

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — თქვენთვის, პატარებო! — „სტუმრად თოჯინებთან", 19.00 — ჟურნალ „ცისკრის" ფურცლებზე, 19.15 — განცხადებები, 19.20 — „ერთ ძირეულ კოლექტივში", 19.35—კინონარკვევი, 19.50 — „საკოლმეურნეო შრომის ორგანიზატორები" — მიხეილ ორაგველიძე, 20.10 — „ჩვენი თვითმოქმედება", 20.45 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.00 — მხატვრული ფილმი „ახალი ეშმაკი ჯოჯოხეთიდან", 22.35 — გადაცემათა პროგრამა 19 ნოემბრისათვის, 22.40 — „ახალი ამბების ესტაფეტა" (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეცხრე არხზე — 17.30-01.15 — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა.

რადიო

18 ნოემბერი

პირველი პროგრამით

10.15 — ბულგარეთის სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის გ. გეორგიევის გამოსვლა, 10.25 — ბულგარული საოპერო მუსიკა, 12.30 — „სკკპ ცკ პლენუმის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში" — საუბარი „მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლების კონკრეტული პროგრამა", 13.40 — ბულგარული ხალხური სიმღერები, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის, 18.10 — ბულგარული მსუბუქი მუსიკა, 18.45 — ფრაგმენტები ა. მაჭავარიანის ბალეტ „ოტელოდან", 19.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.15 — „ძილისპირული", 20.30—„ახალგაზრდული"—ბულგარეთის რადიოს გადაცემა, 20.50 — ბულგარეთის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, 21.25 — საუბარი — „ფიქრები თანამედროვე ბულგარელ პოეზიაზე", 21.50 — ბულგარული საესტრადო მუსიკა, 23.30 — ნაწყვეტები ზ. ფალიაშვილის ოპერებიდან.

[illegible]

„დინამოს" სტადიონი
ც. წერეთლის პროსპ. № 2.
ტელ. 5-21-62.



18 ნოემბერს

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობის გათამაშება „ა" კლასის II ჯგუფის გუნდებს შორის
„ვოლგა" კალინინი — „ლოკომოტივი" თბილისი
დასაწყისი 18 საათზე.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი
თბილისი, ლენინის 11 რედაქტორის მოადგილეების — 9.93.08 9.08.09, პ/მგ მდივნის — 9.72.80, ხამდივნოხი — 9.66.10, განყოფილებებისა: პარტიული — 9.87.61, პროპაგანდის — 9.22.98 მრეწველობის — 9.20.84, სოფლის მეურნეობის — 9.52.46, საბჭოთა მშენებლობის — 9.18.70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 9.27.59, ლიტერატურისა და ხელოვნების — 9.55.01, ინფორმაციის — 9.16.90, უცხოეთის — 9.15.63, წერილების — 9.78.24, ილუსტრაციის — 9.28.54, განცხადებების — 9.93.96.
ჩვენი მისამართი და ტელეფონები
КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 12350 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.